



საქართველოს
სახალხო დამცველი

პრევენციის ეროვნული მექანიზმი

N17 პენიტენციური დაწესებულების მონიტორინგის
ანგარიში

(2016 წელი)



www.ombudsman.ge

სარჩევი

1. შესავალი	3
2. წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა	5
3. უსაფრთხოება.....	16
4. პატიმრობის პირობები.....	20
4.1 ფიზიკური გარემო, სანიტარულ ჰიგიენური მდგომარეობა.....	20
4.2 დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები	23
4.3. დასაქმება	29
5. სამედიცინო მომსახურება.....	30
5.1 დაწესებულების სამედიცინო პერსონალი და ინფრასტრუქტურა	31
5.2 სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა	34
5.3. ფსიქიკური ჯანმრთელობა და სუიციდის პრევენცია.....	38
6. კვება და სასმელი წყალი	41
6.1. სამზარეულო და სასადილო.....	41
6.2. საკვების ხარისხი	42
6.3. სპეციალური კვებითი საჭიროებების მქონე მსჯავრდებულთა კვება.....	46
7. რეჟიმი, დისციპლინური პასუხისმგებლობა, წახალისება	49
8. კონტაქტი გარე სამყაროსთან.....	55
8.1. ხანმოკლე პაემანი	55
8.2. ხანგრძლივი პაემანი.....	57
8.3. ვიდეოპაემანი.....	60
8.4. სატელეფონო საუბრები	61
8.5. მიმოწერა.....	62

1.შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2015 წლის 7-8 დეკემბერს N17 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის ანგარიშს. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან ერთად, დაწესებულების მონიტორინგში მონაწილეობას იღებდნენ სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობისა და თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლები.¹

N17 პენიტენციური დაწესებულება ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაა. მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი შეადგენს 2000 მსჯავრდებულს.² ვიზიტის პირველ დღეს დაწესებულებაში იმყოფებოდა 1904 მსჯავრდებული, აქედან 35 მსჯავრდებული იყო უცხო ქვეყნის მოქალაქე,³ ხოლო 2016 წლის აგვისტოს მონაცემებით, მსჯავრდებულთა რაოდენობა შეადგენდა 1932-ს.⁴

ანგარიშის მომზადებისას სხვა მასალებთან ერთად გამოყენებული იქნა სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტში მონაწილე წევრების ტექნიკური ანგარიშები. ვიზიტის დროს მოპოვებული დოკუმენტაცია, ასევე მონიტორინგის ჯგუფის წევრთა ანგარიშები ინახება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში. ანგარიში შეიცავს მონიტორინგის ჯგუფის ძირითად მიგნებებს და შედგენილია იმგვარად, რომ ინტერვიუს კონფიდენციალური ხასიათიდან გამომდინარე, არ მოხდეს რესპონდენტ მსჯავრდებულთა იდენტიფიკაცია. ვიზიტის მიმდინარეობის დროს მონიტორინგის ჯგუფის წევრები დაუბრკოლებლად გადაადგილდებოდნენ დაწესებულების ტერიტორიაზე და ადმინისტრაციის მხრიდან მონიტორინგისთვის ხელის შეშლას ადგილი არ ჰქონია.

გარდა ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაციისა, სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა გამოითხოვა დამატებითი ინფორმაცია და მასალები 2016 წლის იანვარი-აგვისტოს მდგომარეობით. მიღებული ინფორმაცია სრულად აისახა წინამდებარე ანგარიშში. ამასთანავე, ანგარიშში შევიდა მონაცემები სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშიდან.

¹ სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები: ნიკა კვარაცხელია, დანიელ მგელიაშვილი, ხატია ხელაძე, მერი სამსონია, ლევან ბეგიაშვილი, ეკატერინე დარსანია, ზურაბ მახაშვილი, კახა ღვინიაიძე, ეკა ქობესაშვილი, შორენა ღუდუშაური. გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი: მერი მაღლაფერიძე. თანასწორობის დეპარტამენტი: მარიეტა ახვლედიანი.

² საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №106 ბრძანება, მუხ. 19(ნ).

³ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N110 ბრძანება, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ.

⁴ იხ. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ოფიციალური მონაცემები: <http://www.moc.gov.ge/images/temp/2016/10/06/118430486e74db31415a3dd3aedf6b46.pdf>

სახალხო დამცველი მიესალმება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცებას, რომელიც 2017 წლის 1 აპრილიდან ამოქმედება.⁵ სახალხო დამცველი იმედს გამოთქვამს, რომ აღნიშნული წესის ეფექტურად გამოყენება ხელს შეუწყობს დაზიანებების სრულყოფილ დოკუმენტირებასა და არასათანადო მოპყრობის შესაძლო ფაქტების გამოვლენას.

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს დაწესებულებაში სარეაბილიტაციო აქტივობებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის კუთხით არსებულ ვითარებას. კერძოდ, დაწესებულებაში სასეირნო ეზოებისა და სპორტული მოედნების არსებობას, მსჯავრდებულთათვის მასმედიით გავრცელებული ინფორმაციის გაცნობის შესაძლებლობასა და სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიებების ჩატარების პრაქტიკას. აღნიშნულის მიუხედავად, დაწესებულებაში გასატარებელია ძირეული სამუშაოები ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული აქტივობებისა და მრავალფეროვანი სარეაბილიტაციო პროგრამების შესათავაზებლად.

შემოწმების შედეგად ირკვევა, რომ ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ დაწესებულების დირექტორის ბრძანება შეიცავს მწირ ინფორმაციას და შაბლონური ხასიათისაა. დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების შუამდგომლობები, რომლებიც თან ერთვის დირექტორის ბრძანებას, არ შეიცავს მონაცემებს, თუ რა მეთოდით, ვის მიერ და რა კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით განხორციელდა ამა თუ იმ მსჯავრდებულისაგან მომდინარე რისკისა თუ საშიშროების შეფასება. მათ შორის, უსაფრთხოების განყოფილების შუამდგომლობებიდან არ ჩანს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების უალტერნატივობა.

#17 დაწესებულებაში არსებობს არასათანადო მოპყრობის სერიოზული საფრთხე, რასაც ხელს უწყობს დაწესებულებაში არსებული კრიმინალური სუბკულტურა, რაც ხშირად მსჯავრდებულებს შორის ძალადობისა და ჩაგვრის მიზეზი ხდება. კრიმინალური სუბკულტურის გავლენით ხდება მსჯავრდებულების არაფორმალური დაყოფა. შედეგად, პრივილეგირებულ მდგომარეობაში მყოფ მსჯავრდებულთა გარკვეული ნაწილი, რეპრესიული მეთოდებით ახორციელებს არაფორმალურ მმართველობას, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს მსჯავრდებულთა შორის ძალადობას და გამოიხატება სადამსჯელო ღონისძიებების გატარებაში იმ მსჯავრდებულების მიმართ, რომლებიც არ ემორჩილებიან არაფორმალური მმართველობის წესებს.

დაწესებულების საკნები გადატვირთულია და არსებული ფართი არ შეესაბამება საქართველოს პატიმრობის კოდექსის მოთხოვნებს. მსჯავრდებულთა საცხოვრებელი

⁵ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N131 ბრძანება, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ, 27 ოქტომბერი 2016 წელი.

კორპუსები მოძველებულია და საჭიროებს კაპიტალურ სარემონტო სამუშაოებს. საკნებში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა არაა დამაკმაყოფილებელია. სავენტილაციო სისტემა ვერ უზრუნველყოფს საკნების სათანადო განიავებას.

კვების ობიექტების ინფრასტრუქტურა არაა დამაკმაყოფილებელია. დაწესებულებაში არ ფუნქციონირებს სასადილო, ჭურჭლი კი კუსტარულად მოწყობილ რკინის ყუთში ირეცხება. რამდენიმე მსჯავრდებულმა გამოთქვა პრეტენზია საკვების ხარისხისა და გემოს შესახებ. დაწესებულებაში არაა უზრუნველყოფილი რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი მსჯავრდებულებისათვის შესაბამისი კვება.

N17 დაწესებულებაში სამედიცინო და დამხმარე პერსონალის რაოდენობა არასაკმარისია. დაწესებულების სამედიცინო ბლოკში სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნები მკაცრად არაა დაცული. ცალკეულ შემთხვევებში, დროში იწელება მსჯავრდებულთა გეგმიური მკურნალობისათვის პენიტენციური დაწესებულების გარეთ გაყვანის პროცესი, რაც მკურნალობის დაგვიანების მიზეზი ხდება. დაწესებულებაში ასევე პრობლემაა საჭირო მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა. N17 დაწესებულებაში ვიზიტის დროს გამოირკვა, რომ C ჰეპატიტით დაავადებულ, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე მსჯავრდებულს მკურნალობაზე უარი უთხრეს, რაც სახალხო დამცველმა მოქალაქეობის საფუძველზე პირდაპირ დისკრიმინაციად შეაფასა. სახალხო დამცველის რეკომენდაციის კვალდაკვალ, ცვლილება შევიდა მთავრობის დადგენილებაში და მსჯავრდებულთათვის მოიხსნა მოქალაქეობის ცენზი C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვისათვის.

N17 დაწესებულების დირექტორი აქტიურად იყენებს პატიმრობის კოდექსით და დაწესებულების დებულებით მისთვის მინიჭებულ მსჯავრდებულთა წახალისების უფლებამოსილებას. 2015-2016 წლების განმავლობაში მსჯავრდებულები წახალისებული იყვნენ დამატებითი ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლებით. ასევე, საანგარიშო პერიოდში დაწესებულებაში დისციპლინური სახდელის სახით ხანმოკლე პაემნის შეზღუდვა არ გამოყენებულა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კვლავ პრობლემურია ხანმოკლე პაემნის განხორციელება მინის გამყოფი ბარიერის მეშვეობით, რაც მსჯავრდებულს ართმევს ოჯახის წევრებთან ფიზიკური ურთიერთობის საშუალებას.

2. წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, წამების აკრძალვა აბსოლუტურია და მისგან გადახვევა დაუშვებელია. კონვენცია ხაზს უსვამს, რომ არანაირი გამონაკლისი გარემოება არ შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სახელმწიფოს წამების აქტის გასამართლებლად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პირის მიერ სასჯელის მოხდა ადამიანის ღირსების პატივისცემის პირობებში, რათა სასჯელის აღსრულებამ არ გამოიწვიოს ტანჯვა, რომლის

ინტენსივობაც გადააჭარბებს პატიმრობის თანმდევ, გარდაუვალ ტანჯვას. გარდა ამისა, სახელმწიფოს ვალდებულებაა უზრუნველყოს მსჯავრდებულის ჯანმრთელობის სათანადოდ დაცვა.⁶

2.1. დაზიანებების დოკუმენტირებასთან დაკავშირებული ხარვეზები

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, სხეულის დაზიანების დოკუმენტირება წარმოადგენს წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის ქვაკუთხედს. დოკუმენტირება საშუალებას იძლევა გამოვლენილი იქნას წამებისა და სასტიკი მოპყრობის მტკიცებულებები, რათა მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, პასუხისგებაში მიეცნენ ასეთი ქმედების ჩამდენი პირები.⁷

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად, დახურულ დაწესებულებაში პირის სამედიცინო შემოწმებისას შედგენილი დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

- შემოწმებული პირის მიერ მიწოდებულ ყველა სახის ინფორმაციას, რომელიც საჭიროა სამედიცინო შემოწმებისთვის (მათ შორის, პირის მიერ საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის აღწერას და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებულ ყველა განცხადებას);
- სამედიცინო გამოკვლევაზე დაფუძნებული ობიექტური სამედიცინო დასკვნების სრულ აღწერას;
- ექიმის დასკვნას ზემოაღნიშნულ პუნქტებთან მიმართებით, რომელიც უნდა მიაწოდებდეს პირის მიერ გამოთქმული პრეტენზიების ობიექტურ სამედიცინო დასკვნებთან შესაბამისობის ხარისხზე.

მითითებული ჩანაწერები ასევე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ყველა დამატებითი გამოკვლევის, გაკეთებული დასკვნების და გაწეული სამედიცინო დახმარების შესახებ. სხეულის დაზიანების დოკუმენტირებისთვის უნდა არსებობდეს ამისათვის განკუთვნილი სპეციალური ფორმები, რომლებიც საშუალებას იძლევა ანატომიური ილუსტრაციების მეშვეობით დაფიქსირდეს ინფორმაცია დაზიანების შესახებ. ამასთან, სასურველი იქნებოდა დაზიანებების დაფიქსირება ფოტოგადაღების მეთოდით.⁸

წამების პრევენციის მიზნით, სხეულზე არსებული დაზიანებების ფოტოგრაფირების მეთოდით დაფიქსირების მნიშვნელობაზე მიუთითებს წამებისა და სხვა სასტიკი,

⁶ იხ. Valašinas v. Lithuania, no. 44558/98, § 102, ECHR 2001-VIII; ასევე Kudła v. Poland [GC], no. 30210/96, § 94, ECHR 2000-XI.

⁷ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო სტამბოლის პროტოკოლი, (Istanbul protocol) / გაერო, 2004, შესავალი ნაწილი.

⁸ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 23-ე ზოგადი მოხსენება, 2013 წ. პარ. 74.

არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო – „სტამბოლის პროტოკოლი“.⁹

ექიმს, რომელიც ამოწმებს დაკავებულ პირს, უნდა შეეძლოს დაზიანების ძალადობის გზით მიყენების აღბათობის დადგენა, თუნდაც ამის შესახებ პაციენტი არ მიუთითებდეს. მას ასევე უნდა შეეძლოს ძალადობის ფსიქიკური და ფსიქოლოგიური მტკიცებულებების დოკუმენტირება და პირის მიერ არასათანადო მოპყრობის შესახებ მონათხრობისა და შემოწმების შედეგების შესაბამისობის ხარისხის დადგენა.¹⁰

სტამბოლის პროტოკოლის შესაბამისად, ცალკეული დაზიანებებისა და დაზიანების საერთო ხასიათის მიხედვით ექიმმა უნდა მიუთითოს, რამდენად შეესაბამება ისინი პაციენტის მიერ აღწერილ გარემოებებს. აღნიშნული შეფასების გაკეთებისას ექიმის მიერ გამოყენებულ უნდა იქნეს შემდეგი ტერმინები:

ა) არ შეესაბამება: აღნიშნული ტრავმა ვერ გამოიწვევდა დაზიანებას;

ბ) შეესაბამება: აღნიშნული ტრავმა გამოიწვევდა დაზიანებას, ოღონდ ის სპეციფიური არ არის და უამრავი სხვა მიზეზით შეიძლება ყოფილიყო გამოწვეული;

გ) შესაბამისობის მაღალი ხარისხი: აღნიშნული ტრავმა გამოიწვევდა დაზიანებას, ამასთან, სხვა გამოწვევი მიზეზების რიცხვი არცთუ ისე დიდია;

დ) ტიპურია: დაზიანების გარეგნული იერი შეესაბამება ჩვეულებრივ ასეთი ტიპის ტრავმებს, მაგრამ სხვა მიზეზებიც შესაძლებელია;

ე) დიაგნოზის დასმის საშუალებას იძლევა: დაზიანების გარეგნული იერი მოწმობს, რომ შეუძლებელი იყო სხვა მიზეზები გარდა აღნიშნული ტრავმისა.¹¹

ვიზიტის მიმდინარეობისას მონიტორინგის ჯგუფს არასათანადო მოპყრობის შესახებ მსჯავრდებულებისაგან შეტყობინება არ მიუღია. თუმცა განხორციელებული შემოწმების შედეგად მონიტორინგის ჯგუფი მივიდა დასკვნამდე, რომ N17 დაწესებულებაში სამედიცინო პერსონალის მიერ სხეულის დაზიანების დოკუმენტირებისა და არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების გამოვლენის კუთხით პრობლემებია.

საქართველოს სახალხო დამცველმა არაერთხელ მიმართა რეკომენდაციით საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, „სტამბოლის პროტოკოლის“ შესაბამისად შემუშავებულიყო და დანერგილიყო დაზიანებების აღრიცხვის ახალი ფორმა, რომელშიც შესაძლებელი გახდებოდა სხეულის დაზიანების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციის შეტანა. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა გაიზიარა სახალხო დამცველის რეკომენდაცია. 2016 წლის 26 ოქტომბრის N131 ბრძანებით დამტკიცდა

⁹წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო სტამბოლის პროტოკოლი, (Istanbul protocol) / გაერო, 2004, პარ. 105.

¹⁰ იქვე პარ. 122.

¹¹ სტამბოლის პროტოკოლი, პარ. 187.

„საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესი“.¹² აღნიშნული წესის თანახმად, თუ სამედიცინო მომსახურების გაწევისას სამედიცინო პერსონალი პაციენტს შეამჩნევს რაიმე სახის ფიზიკურ დაზიანებას, ემოციური მდგომარეობის ცვლილებას ან/და სხვა ისეთ გარემოებას, რომელიც ობიექტურ პირს აღუძრავს ეჭვს პაციენტის მიმართ შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შესახებ, სამედიცინო პერსონალმა უნდა გამოიჩინოს მაქსიმალური ძალისხმევა ზემოაღნიშნულის თაობაზე პაციენტისგან ინფორმაციის მოსაპოვებლად. ამავე ბრძანებით დამტკიცდა დაზიანების აღრიცხვის ფორმა, რაშიც ექიმს შესაძლებლობა ექნება ილუსტრაციების გამოყენებით მიუთითოს დაზიანებების ადგილმდებარეობა. აღნიშნული წესის მიხედვით, დაზიანების აღრიცხვის ფორმის შევსებისას, პაციენტის თანხმობის შემთხვევაში, ექიმი ვალდებულია გადაიღოს დაზიანების ამსახველი ფერადი ფოტო.

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება მითითებული საკითხის სამართლებრივად დარეგულირებას და ცალსახად წინგადადგმულ ნაბიჯად აფასებს აღნიშნული წესის დამტკიცებას, თუმცა აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში, მსჯავრდებულების სხეულზე არსებული დაზიანების აღრიცხვის ახალი წესი არ მოქმედებდა,¹³ ხოლო არსებული პრაქტიკით დაზიანებების აღწერა, ისევე როგორც წინა წლებში, ხარვეზებით მიმდინარეობდა და ვერ უზრუნველყოფდა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტურ გამოვლენას და დოკუმენტირებას.

ასევე, დადებითად უნდა შეფასდეს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების დამტკიცება, სადაც ნათლადაა გაწერილი როგორც დეპარტამენტის სტრუქტურული, ასევე ტერიტორიული ერთეულების თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობები.¹⁴ ამასთან, მისასალმებელია სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და პაციენტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის შეფასების, ხარისხის მართვის სისტემის განსაზღვრა.¹⁵

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,¹⁶ N17 პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებულთა სხეულის დაზიანებათა რაოდენობის შესახებ 2015 და 2016 წლების მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:

¹² აღნიშნული ბრძანების თანახმად, მითითებული წესი ამოქმედდება 2017 წლის 1 აპრილიდან.

¹³ ამოქმედდება 2017 წლის 1 აპრილიდან.

¹⁴ დამტკიცებულია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 6 მაისის N2255 ბრძანებით.

¹⁵ დამტკიცებულია 2016 წლის 6 მაისის საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N2361 ბრძანებით.

¹⁶ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2016 წლის 10 მარტის MOC 71600192429 წერილი (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N3159/16).

პენიტენციურ დაწესებულებებში მსჯავრდებულთა სხეულის დაზიანებათა რაოდენობა										
დაწესებულება	თვითდაზიანება		სხვა პირის მიერ		საყოფაცხოვრებო		დაუზუსტებელი		სულ	
	2015	2016	2015	2016	2015	2016	2015	2016	2015	2016
N17	56	15	3	4	168	216	3	2	230	237

N17 პენიტენციურ დაწესებულების დირექტორის მიერ გამოგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ დაწესებულებაში თვითდაზიანების მიდრეკილების მქონე მსჯავრდებულების იდენტიფიკაცია ხდება უსაფრთხოების და სამართლებრივი რეჟიმის თანამშრომლის მიერ, როგორც დაწესებულებაში არსებული, ასევე სხვა დაწესებულებიდან შემოსული ინფორმაციის საფუძველზე. წერილიდან აგრეთვე ირკვევა, რომ დაწესებულებაში წარმოებს თვითდაზიანების მიდრეკილების მქონე მსჯავრდებულების ელექტრონული რეესტრი. 2016 წლის აგვისტოს ჩათვლით დაწესებულებაში იდენტიფიცირებულ იქნა 18 თვითდაზიანების მიდრეკილების მქონე მსჯავრდებული. პასუხის მიხედვით, თვითდაზიანების მიდრეკილების მქონე მსჯავრდებულების სუიციდის პროგრამაში ჩართვის მიზნით დაწესებულებაში შექმნილია სამუშაო გუნდები, რომლის მიერ მიმდინარეობს დაბალი, საშუალო და მაღალი სუიციდის რისკების დადგენა და მულტიდისციპლინური დახმარების უზრუნველყოფა.¹⁷

სახალხო დამცველი მიესალმება 2016 წელს 2015 წელთან შედარებით თვითდაზიანების შემთხვევების შემცირების ტენდენციას. თუმცა მნიშვნელოვნია, რომ მსჯავრდებულის მხრიდან დაზიანების მიღების მიზეზად თვითდაზიანების დასახელების შემთხვევაში, ექიმმა სრულყოფილი შემოწმების შემდეგ შეაფასოს, რამდენად წარმოადგენს აღნიშნული შემთხვევა თვითდაზიანებას, რათა მაქსიმალურად გამოირიცხოს არასათანადო მოპყრობის ფაქტები. გარდა ამისა, აუცილებელია თვითდაზიანებისკენ მიდრეკილი მსჯავრდებულების იდენტიფიკაცია და თვითდაზიანების პრევენციის მიზნით შესაბამისი მიდგომის ჩამოყალიბება.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი აღნიშნავს, რომ სამედიცინო პერსონალმა და ადმინისტრაციის თანამშრომლებმა მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშონ თვითდაზიანების რისკის მართვაში და შესაბამისად, აუცილებელია მათი როლის გაძლიერება ამ მიმართულებით.¹⁸

საგულისხმოა ტრავმების ჟურნალის შემოწმების შედეგად დაფიქსირებული გაურკვეველი წარმომავლობის, ასევე საექვო ხასიათის და ლოკალიზაციის ტრავმები. აქ საუბარია შემთხვევებზე, როდესაც მსჯავრდებული დაზიანების წარმომავლობად უთითებს

¹⁷N17 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2016 წლის 20 აგვისტოს წერილი 792328 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N03-4/10474)

¹⁸ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიში იტალიაში ვიზიტის შესახებ, 14-18 ივნისი 2010 წელი. პარა 17. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.cpt.coe.int/documents/ita/2013-30-inf-eng.pdf> [ბოლოს ნანახია 28.04.2016]

საყოფაცხოვრებო ტრავმას, თუმცა დაზიანების მდებარეობა და ხასიათი ეჭვს ბადებს, რომ დაზიანება მიყენებულია სხვა პირის მიერ. ასე მაგალითად:

- გ.მ.-ს აღენიშნება ნაფლეთი ჭრილობა მარცხენა ყურის არეში, ნაკვეთი ჭრილობა და სისხლჩაქცევა მარჯვენა თვალის ქვემო ქუთუთოზე, სისხლჩაქცევა მარჯვენა თვალის არეში, მცირე ზომის ექსკორაციები შუბლის არეში - დაზიანების წარმომავლობად მითითებულია საწოლის მეორე იარუსიდან გადმოვარდნა;
- მ.ფ. - სისხლნაჟღენთი მარცხენა თვალბუდის არეში - მსჯავრდებულის გადმოცემით, საკანში დაუცურდა ფეხი და სახე მიარტყა ტუმბოს;
- ი.ჯ. - მარცხენა თვალბუდის არეში ექსკორაციები. ტუჩის არეში სილურჯე - მსჯავრდებულის გადმოცემით დაზიანება მიიღო საპირფარეშოში დაცემის შედეგად;
- შ.მ. - მარჯვენა წარბზე 2 სმ ზომის ნაკვეთი ჭრილობა, მარცხენა თხემის არეში ჰემატომა, მარჯვენა თხემის არეში მრავლობითი ექსკორაციები, მარცხენა თვალბუდის არეში სისხლნაჟღენთები, ნიკაპის არეში სისხლნაჟღენთები, მრავლობითი ექსკორაციები კისრის არეში, ზურგზე, მარცხენა მუხლზე, ორივე მხრის და მარჯვენა საფეთქლის არეში - დაზიანებები მიიღო საწოლიდან გადმოვარდნის შედეგად;
- თ.შ. - სისხლნაჟღენთები: ცხვირის, შუბლის, მარცხენა ყვრიმალის, მარჯვენა საფეთქლის და ორივე იდაყვის არეში - დაზიანება მიღებულია საკარანტინო ნაწილში, საწოლიდან გადმოვარდნის შედეგად;
- ს.უ. - სისხლნაჟღენთი მარცხენა თვალბუდის ქვემოთ - დაზიანება მიიღო საწოლიდან ჩამოსვლის დროს, კედელზე სახის მირტყმის შედეგად;
- გ.კ. - ძლიერი სისხლჩაქცევები და შემუშება შუბლზე და ცხვირის მარცხენა მხარეს, ამავე მიდამოში ნაკაწრები - გადმოვარდა საწოლის მეორე იარუსიდან.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში სალმანი თურქეთის წინააღმდეგ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ჩნდება ძლიერი ეჭვები პატიმრობის პერიოდში წარმოქმნილ დაზიანებებთან დაკავშირებით, მტკიცების ტვირთი ეკისრება შესაბამის ორგანოებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი განმარტება.¹⁹

ზემოაღნიშნულ მაგალითებში დაზიანებების ხასიათი და ლოკალიზაცია ბადებს გონივრულ ეჭვს, რომ დაზიანება მიყენებულია სხვა პირის მიერ და მსჯავრდებულის განმარტება დაზიანების წარმომავლობის შესახებ დიდი ალბათობით არ შეესაბამება სინამდვილეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ როდესაც დაზიანების მიზეზად მსჯავრდებული უთითებს საყოფაცხოვრებო ტრავმას, ექიმის მიერ პირველ რიგში შეფასდეს, შეიძლება თუ არა მსჯავრდებულს მიეღო აღნიშნული დაზიანებები იმ გარემოებებში, რომლის შესახებაც მსჯავრდებული შემოწმების დროს უთითებს.

საეჭვოა 2015 წელს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ტრავმების აღრიცხვის ჟურნალში დაფიქსირებული ისეთი შემთხვევები, როდესაც პირს აღენიშნება დაზიანებები

¹⁹ ob. Salman v. Turkey, Application no. 21986/93, § 113 ECHR 2000 VII

თვალბუდისა და სახის არემი, ხოლო მის წარმომავლობის მიზეზად ხშირ შემთხვევებში მითითებულია საყოფაცხოვრებო ტრავმა (საწოლიდან გადმოვარდნა ან წაქცევა).

სავარაუდოა, რომ პირის საწოლიდან გადმოვარდნის ან წაქცევის შემთხვევაში ზემოთ მითითებული დაზიანებების გარდა სხვა დაზიანებებიც მიეღო, რომლებიც არ არის აღწერილი ჟურნალში. ტრავმების აღრიცხვის ჟურნალში დაზიანების წარმომავლობის მითითებისას ზედაპირულად არის ნახსენები, თუ როგორ მიიღო პირმა დაზიანება, მაშინ როდესაც აღნიშნულ შემთხვევებში უმნიშვნელოვანესია დეტალურად აღიწეროს ის გარემოება და ვითარება, რა დროსაც მსჯავრდებულმა მიიღო ტრავმა. კერძოდ, პირის მიერ ტრავმის მიღებად „წაქცევის ან გადმოვარდნის ფაქტის“ მითითების შემთხვევაში, მნიშვნელოვანია გაირკვეს, რა იყო წაქცევის ან გადმოვარდნის მიზეზი, იყო თუ არა წაქცევა ან გადმოვარდნა დაკავშირებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, აგრეთვე, არის თუ არა წაქცევის ან გადმოვარდნის გამომწვევი მიზეზი დაწესებულების ინფრასტრუქტურა. ექიმის მიერ დაზიანებების სრულყოფილად არ აღწერის შემთხვევაში შეუძლებელია დადგინდეს, ჰქონდა თუ არა პირის მიმართ ადგილი ძალადობას.

2.2. დაწესებულების ადმინისტრაციის როლი ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში

არასათანადო მოპყრობის სერიოზულ საფრთხეს ქმნის დაწესებულებებში არსებული კრიმინალური სუბკულტურა, რაც ხშირად მსჯავრდებულებს შორის ძალადობისა და ჩაგვრის მიზეზი ხდება. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ციხის ადმინისტრაციის აქვს მსჯავრდებულის ნებისმიერი ძალადობისგან დაცვის ვალდებულება, მათ შორის ისეთი ძალადობის რისკისაგან, რომელიც სხვა მსჯავრდებულისაგან შეიძლება მომდინარეობდეს.

კრიმინალური სუბკულტურის გავლენით ხდება მსჯავრდებულების არაფორმალური დაყოფა. შედეგად, პრივილეგირებულ მდგომარეობაში მყოფ მსჯავრდებულთა გარკვეული ნაწილი, რეპრესიული მეთოდებით ახორციელებს არაფორმალურ მმართველობას, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს მსჯავრდებულთა შორის ძალადობას და გამოიხატება სადამსჯელო ღონისძიებების გატარებაში იმ მსჯავრდებულების მიმართ, რომლებიც არ ემორჩილებიან არაფორმალური მმართველობის წესებს.

ვინაიდან პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია დაინტერესებულია შეინარჩუნოს წესრიგი, არსებობს ცდუნება, რომ გარკვეულწილად დაუშვას და მეტიც, ხელი შეუწყოს დაწესებულებებში არაფორმალური მმართველობის არსებობას. 2015 წელს N17 დაწესებულებაში ერთ-ერთი მსჯავრდებულის მიმართ სხვა მსჯავრდებულების მხრიდან განხორციელებული ძალადობა საგამომიებო ორგანოსა და სასამართლოს მიერ დაკვალიფიცირდა წამებად. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, სასამართლოს მიერ დამნაშავედ იქნა ცნობილი დაწესებულების დირექტორი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში, რაც გამოიხატა მსჯავრდებულებისთვის ღამის საათებში დაწესებულების ტერიტორიაზე შეუზღუდავი გადაადგილების უფლების მიცემაში. სწორედ აღნიშნულმა პრივილეგირებულმა მსჯავრდებულებმა აწამეს მსხვერპლი ღამის საათებში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო წამების აკრძალვის ნეგატიურ ვალდებულებასთან ერთად სახელმწიფოებს პოზიტიურ ვალდებულებებსაც აკისრებს, რაც, მათ შორის, გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ყველა ზომის მიღებას მათი კონტროლის ქვეშ მყოფი პირების დასაცავად. აღნიშნული დაცვის ვალდებულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსჯავრდებულთა შორის ძალადობის აღსაკვეთად. ციხის ადმინისტრაცია უნდა მოქმედებდეს პროაქტიულად, რათა აღმოფხვრას ძალადობა მსჯავრდებულებს შორის. ასეთ შემთხვევებში, მნიშვნელოვანია ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენლები იყვნენ ფხიზლად და ჩაერთონ სიტუაციაში საჭიროების შემთხვევაში.²⁰ გარდა ამისა, ციხის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს იმ მსჯავრდებულების სათანადო დაცვა, რომელთაც საფრთხე ემუქრებათ სხვა მსჯავრდებულების მხრიდან.²¹

2015 წლის განმავლობაში, #17 დაწესებულებაში მსჯავრდებულის მიერ სხვა მსჯავრდებულის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის 3 შემთხვევაა ქონდა ადგილი.²² ერთი მსჯავრდებულის მიერ მეორე მსჯავრდებულის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის 3 შემთხვევა იყო 2016 წლის აგვისტოს ჩათვლით პერიოდში.²³

სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან გამოითხოვა ინფორმაცია 2015 წელს ერთი მსჯავრდებულის მიერ მეორე მსჯავრდებულის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის ზემოთ აღნიშნულ 3 შემთხვევაზე. სამინისტროდან მიღებული წერილიდან²⁴ ირკვევა, რომ პირველ შემთხვევაში მსჯავრდებულ გ.მ-ს ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით. აღნიშნულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით პირები, რომლებიც მონაწილეობდნენ ცემაში, ცნობილ იქნენ დამნაშავედ საქართველოს საქართველოს სსკ-ის 144¹ -ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (წამება ჩადენილი ჯგუფურად), ხოლო დაწესებულების დირექტორი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება).

²⁰ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიში მონტენეგროში 2013 წლის 20 თებერვალს განხორციელებულ ვიზიტთან დაკავშირებით, პარაგრაფი 43 ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: http://www.cpt.coe.int/documents/mne/2014-16-inf-eng.htm#_Toc363549471 [ბოლოს ნანახია 28.04.2016]

²¹ Jim Murdoch, Vaclav Jiricka, „Combating ill-treatment in prison” A handbook for prison staff with focus on the prevention of ill-treatment in prison, 2016, p. 14. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: <http://www.coe.int/t/dgi/criminallawcoop/Presentation/Documents/Combating%20ill%20treatment%20in%20prison%20web.pdf> [ბოლოს ნანახია 20.10.2016]

²² საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N17 ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, მთავარი ექიმის 2016 წლის 14 იანვრის MOC81600034119 წერილი (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული –N17472)

²³ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N17 ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, მთავარი ექიმის 2016 წლის 21 სექტემბრის MOC 716 00795457 წერილი (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N03-4/10474).

²⁴ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამომძიებო დეპარტამენტის 2016 წლის 28 ივლისის წერილი MOC 416 00658726 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N03-4/7879)

გაეროს წამების წინააღმდეგ კომიტეტი წამების ფაქტებთან დაკავშირებით უპირველეს პასუხისმგებლობას აკისრებს სახელმწიფო თანამდებობის პირს ან სხვა პირს, რომელიც მოქმედებს ოფიციალური უფლებამოსილებიდან გამომდინარე და რომლის წაქეზებით, ნებართვით ან უსიტყვო თანხმობით განხორციელდა აღნიშნული ქმედება. კერძოდ, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა ან სხვა პირებმა, რომლებიც ოფიციალურ ფუნქციებს ახორციელებენ ან კანონის სახელით მოქმედებენ, იციან ან აქვთ საკმარისი საფუძველი იცოდნენ, რომ ადგილი ჰქონდა არასახელმწიფო მოხელეების ან კერძო პირების მიერ წამებას ან არაადამიანურ მოპყრობას და ისინი ვერ ახორციელებენ ჯეროვან ღონისძიებებს წამების აღსაკვეთად, გამოსაძიებლად და დამნაშავე პირების დასასჯელად, როგორც ამას მოითხოვს კონვენცია, სახელმწიფოს ეკისრება პასუხისმგებლობა და სახელმწიფო მოხელეები უნდა ჩაითვალოს ასეთი ქმედებების ავტორებად, თანამონაწილეებად ან კონვენციის შესაბამისად სხვაგვარად პასუხისმგებელ პირებად, როგორც ასეთ ქმედებაზე თანხმობის გამცემი პირები ან ქმედებებთან დაკავშირებით დუმილით თანხმობის გამომხატველი პირები.²⁵

მიუხედავად ზემოაღნიშნული პრინციპისა, მოცემულ შემთხვევაში #17 დაწესებულების დირექტორი პასუხისმგებაში მიეცა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის და არა წამებასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის. სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, დირექტორის მიმართ საქმის წარმოება დასრულდა საპროცესო შეთანხმებით.²⁶

მსჯავრდებულის მიერ სხვა მსჯავრდებულის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მეორე შემთხვევასთან დაკავშირებით, სამინისტროდან მიღებული წერილიდან²⁷ ირკვევა, რომ მსჯავრდებული ნ.ხ.-ს ცემის ფაქტზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო N17 დაწესებულებიდან მიღებული შეტყობინება, რომლის თანახმად, მსჯავრდებულმა განაცხადა სხვა მსჯავრდებულების მხრიდან მისი შეურაცხყოფის შესახებ. მთავარი ექიმის ინფორმაციით, მსჯავრდებული უჩიოდა ტკივილებს წელისა და თავის არეში და აცხადებდა, რომ მას შეურაცხყოფა მიაყენეს სხვა მსჯავრდებულებმა. ექიმის მიერ გაკეთებულ დასკვნაში წერია, რომ გარეგნული დათვალერებით მსჯავრდებულს რაიმე სახის დაზიანება არ აღენიშნებოდა.

საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამომეზო დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სამედიცინო დასკვნით, გამოთხოვილი ვიდეომასალითა და ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით გამოკითხულ პირთა, N17-ე

²⁵ გაეროს წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო კონვენცია, ზოგადი კომენტარი N2, CAT/C/GC/2, პარაგრაფი 18.

²⁶ საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2016 წლის 13 იანვრის წერილი MOC61600300300 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N3-4/3040

²⁷ საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამომეზო დეპარტამენტის 2016 წლის 17 აგვისტოს წერილი MOC 21600710211 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N03-4/8721

დაწესებულების ინსპექტორთა, დაწესებულების ექიმისა და ამავე დაწესებულების მსჯავრდებულების ჩვენებებით არ დასტურდება მსჯავრდებულის ნ.ხ-ს მიმართ სხვა პირის მხრიდან განხორციელებული ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტი, თუმცა საქმეზე კვლავ მიმდინარეობს გამოძიება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ N17 პენიტენციური დაწესებულების დირექტორისგან მიღებული წერილის მიხედვით, მსჯავრდებულის ნ.ხ აღნიშნული ინციდენტის განმავლობაში მისი უსაფრთხოებიდან გამომდინარე სხვა საკანში ან სხვა დაწესებულებაში არ გადაუყვანიათ.²⁸

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ისეთ შემთხვევებში, როდესაც მსჯავრდებულის აცხადებს, რომ მის მიმართ აღვილი ჰქონდა ძალადობას სხვა მსჯავრდებულის მხრიდან, მნიშვნელოვანია, რომ ამოქმედეს მსჯავრდებულის ძალადობისა და რეპრესიებისგან დაცვის დამატებითი გარანტიები, მათ შორის, საგამოძიებო მოქმედებების დასრულებამდე მსჯავრდებულისათვის სხვა საკანში ან დაწესებულებაში გადაყვანის შეთავაზება.

დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულის მიერ სხვა მსჯავრდებულის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მესამე შემთხვევასთან დაკავშირებით, სამინისტროდან მიღებული წერილიდან²⁹ ირკვევა, რომ მსჯავრდებულის ა.კ-ს ცემის ფაქტზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო N17 დაწესებულებიდან მიღებული შეტყობინება, რომლის მიხედვითაც ა.კ-ს აღენიშნებოდა ზედაპირული დაზიანებები მცირედი სისხლნაჟღენთის, ჰიპერემიის და ექსკორაციების სახით, რაც სავარაუდოდ მიადგა სხვა მსჯავრდებულთან ფიზიკური დაპირისპირების შედეგად. საქმეში მოწმის სახით დაკითხვისას მსჯავრდებულმა მიუთითა, რომ სხეულის დაზიანებები მიიღო შემთხვევით, თავის საცხოვრებელ საკანში საწოლიდან ჩამოვარდნის შედეგად. ანალოგიური ჩვენებები მისცეს საქმეზე დაკითხულმა მოწმეებმა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ საქმეზე შეწყდა გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. მოცემულ შემთხვევაშიც, მსჯავრდებულის ა.კ მისი უსაფრთხოებიდან გამომდინარე სხვა საკანში ან სხვა დაწესებულებაში არ გადაუყვანიათ.³⁰

აღსანიშნავია, რომ რეპრესიებისა და სხვა სახის ნებისმიერი ძალადობისგან დაცვის გარანტიების არარსებობის პირობებში, მსჯავრდებულები ხშირ შემთხვევაში ერიდებიან დაზიანების რეალური მიზეზის დასახელებას. ამავე დროს, ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც პირველადი ინფორმაციის მიღებისას დაზიანების წარმომავლობად მითითებულია ფიზიკური დაპირისპირება, ხოლო შემდგომ ხდება აღნიშნული ინფორმაციის უარყოფა.

²⁸ N17 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2016 წლის 10 აგვისტოს წერილი MOC 516 00691423 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N3-4/8674).

²⁹ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის 2016 წლის 17 აგვისტოს წერილი MOC 21600710211 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N03-4/8721).

³⁰ N17 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის წერილი MOC 516 00691423 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N3-4/8674).

სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მის არაერთ ანგარიშში გაცემულ რეკომენდაციას არასათანადო მოპყრობის ფაქტების დროული და მეთოდური დოკუმენტირებისა და ექიმის მიერ შესაბამისი საგამომიებო ორგანოებისთვის პირდაპირ შეტყობინების საკანონმდებლო ვალდებულების დაწესების შესახებ. ექიმის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ შემთხვევებში, როდესაც მსჯავრდებული უარს აცხადებს დაზიანების რეალური მიზეზების დასახელებაზე. ექიმმა უნდა შეაფასოს, შეიძლება თუ არა მსჯავრდებულს დაზიანებები მიეღო იმ გარემოებებში, რომლის შესახებაც ის შემოწმების დროს უთითებს.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- ❖ „სტამბოლის პროტოკოლის“ შესაბამისად შემუშავდეს და დაინერგოს დაზიანებების აღრიცხვის ახალი ფორმა, რომელშიც შესაძლებელი გახდება სხეულის დაზიანების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის შეტანა
- ❖ მიიღოს ყველა ზომა ტრავმების აღრიცხვის ჟურნალის სრულყოფილი წარმოებისათვის
- ❖ სასჯელაღსრულების დაწესებულების სამედიცინო პერსონალს ჩაუტარდეს არასათანადო მოპყრობის იდენტიფიცირებისა და დოკუმენტირების შესახებ ინტენსიური სწავლება
- ❖ უზრუნველყოს სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლების გრძელვადიანი პროფესიული სწავლება, ამასთან, უზრუნველყოს უფლებამოსილებათა ფარგლების, არასათანადო მოპყრობის, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, გადამეტების ან სამსახურებრივი გულგრილობისთვის მოსალოდნელი სასჯელის, ასევე სამსახურებრივი უფლებამოსილებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ მათი სათანადო ინფორმირება
- ❖ შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განისაზღვროს პენიტენციური დაწესებულებების ექიმის ვალდებულება – იმ შემთხვევაში, თუ იგი მიიღებს ინფორმაციას ან დაასკვნის, რომ მსჯავრდებული შესაძლოა დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას, პირდაპირ გაუგზავნოს შეტყობინება საქართველოს მთავარ პროკურატურას
- ❖ მიიღოს შესაბამისი ზომები დინამიკური უსაფრთხოების პრაქტიკაში განხორციელების უზრუნველსაყოფად
- ❖ უზრუნველყოს სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა მიერ ფუნქციების ჯეროვნად შესრულების და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად

აუცილებელი მკაფიო სამუშაო აღწერილობების, სტანდარტული საოპერაციო პროცედურისა და ინციდენტების მართვის სახელმძღვანელო წესების შემუშავება.

3. უსაფრთხოება

უსაფრთხოება მოიცავს მსჯავრდებულთა შორის ძალადობის, ხანძრის და სხვა საგანგებო სიტუაციების პრევენციას, მსჯავრდებულთა და დაწესებულებაში მომუშავე პერსონალისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას, ასევე სუიციდისა და თვითდაზიანების პრევენციას.

ვიზიტის მიმდინარეობისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დაწესებულებაში უსაფრთხოების კუთხით არსებულ მდგომარეობას და დაწესებულების უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის სპეციფიკის შესწავლას. N17 დაწესებულებაში ვიზუალური მეთვალყურეობის სისტემით აღჭურვილია მე-5 კორპუსის მე-2, მე-5, მე-7 და მე-9 საკნები. აღნიშნულ საკნებში ვიზუალური მეთვალყურეობის ქვეშ 2015 წლის განმავლობაში მოთავსებული იყო 33 მსჯავრდებული. 2016 წლის აგვისტოს ჩათვლით ვიზუალური მეთვალყურეობის ქვეშ მოთავსებული იყო 20 მსჯავრდებული.³¹

პატიმრობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად,

„დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას ადმინისტრაციას უფლება აქვს, ბრალდებულის/მსჯავრდებულის ან სხვა პირთა უსაფრთხოებისა და სხვა კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე – თვითმკვლელობის, თვითდაზიანების, მის ან სხვა პირთა მიმართ ძალადობის, ქონების დაზიანების, აგრეთვე სხვა დანაშაულისა თუ სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად განახორციელოს ვიზუალური ან/და ელექტრონული მეთვალყურეობა და კონტროლი”.

პატიმრობის კოდექსის შესაბამისად, ზემოთ ნახსენები მეთვალყურეობისა და კონტროლის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა საშუალების გამოყენება არაეფექტურია. პატიმრობის კოდექსი ხაზს უსვამს დასაბუთებული და მიზნის პროპორციული გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობას და კრძალავს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის ბრალდებულის/მსჯავრდებულის დასჯის მიზნით განხორციელებას.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის N35 ბრძანებით დამტკიცებული ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და

³¹ N17 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2016 წლის 20 აგვისტოს წერილი 792328 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N03-4/10474)

განადგურების წესის მიხედვით, მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების დირექტორი, რის თაობაზეც გამოსცემს შესაბამის ბრძანებას. ამავე წესის თანახმად, ბრძანება უნდა იყოს დასაბუთებული და მიზნის პროპორციული.

მიუხედავად ამისა, მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ დაწესებულების დირექტორის ბრძანება შეიცავს მწირ ინფორმაციას და შაბლონური ხასიათისაა. პრობლემას წარმოადგენს აგრეთვე დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების შუამდგომლობები, რომლებიც არ შეიცავს მონაცემებს თუ რა მეთოდით, ვის მიერ და რა კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით განხორციელდა ამა თუ იმ მსჯავრდებულისაგან მომდინარე რისკის შეფასება. ამასთან, უსაფრთხოების განყოფილების შუამდგომლობებიდან არ ჩანს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების უალტერნატივობა. მაგალითად:

- მსჯავრდებული არის გაუწონასწორებელი პიროვნება და მოსალოდნელია მისი მხრიდან თვითდაზიანების მიყენება, მისი უსაფრთხოების და დაწესებულების დებულების მოთხოვნათა დაცვის მიზნით საჭიროა მისი მეთვალყურეობის ქვეშ აყვანა.
- მსჯავრდებული არის ფსიქიკურად გაუწონასწორებელი პიროვნება და მოსალოდნელია მისგან თვითდაზიანების მიყენება. მისი უსაფრთხოების და დაწესებულების დებულების მოთხოვნათა დაცვის მიზნით საჭიროა მისი მეთვალყურეობის ქვეშ აყვანა.
- მსჯავრდებულმა პირადი განცხადების საფუძველზე დაიწყო შიმშილობა. მსჯავრდებული არის გაუწონასწორებელი პიროვნება და მოსალოდნელია მისი მხრიდან თვითდაზიანების მიყენება. უსაფრთხოების და დაწესებულების დებულების მოთხოვნათა დაცვის მიზნით საჭიროა მისი მეთვალყურეობის ქვეშ აყვანა.
- მსჯავრდებულმა პირადი განცხადების საფუძველზე გამოაცხადა შიმშილობა. მსჯავრდებულის მიმართ ხორციელდება ვიზუალური მეთვალყურეობა, ვინაიდან არსებობდა საფრთხე მისი მხრიდან სუიციდის მცდელობის.
- მსჯავრდებულმა პირადი განცხადების საფუძველზე გამოაცხადა შიმშილობა. მსჯავრდებული დაავადებულია ფსიქოგენური ეპილეფსიით, რის გამოც პერიოდულად ემართება ისტერიული გულყრები, რამაც შესაძლოა შიმშილობის პერიოდში გამოიწვიოს მისი ჯამრთელობის მდგომარეობის გაუარესება.³²

ზემოთ მითითებული მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ შუამდგომლობებში გამოყენებული პირის შეფასება, როგორც „გაუწონასწორებელი პიროვნება“ და აღნიშნულიდან გამომდინარე „მოსალოდნელი თვითდაზიანების რისკის“ შეფასება არის ზედაპირული და არ ემყარება კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს. პირის „გაუწონასწორებელ პიროვნებად“ შეფასების შემთხვევაში არ ჩანს, თუ რაში გამოიხატებოდა

³²N17 დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების შუამდგომლობები ელექტრონული მეთვალყურეობის დაწესების თაობაზე.

პირის გაუწონასწორებელი ქცევა, ვის მიერ მოხდა აღნიშნული შეფასების გაკეთება და შეფასების რა მეთოდი იქნა გამოყენებული. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის გამოყენების შუამდგომლობები არ შეესაბამება პატიმრობის კოდექსის 54-ე მუხლით გათვალისწინებულ დასაბუთების სტანდარტს.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ყველა საქმეში რისკი უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად და მიღებულ ბრძანებაში ნათლად უნდა ჩანდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების უალტერნატივობა. ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს წამების პრევენციის ევროპული კომიტეტიც და მიუთითებს, რომ სათანადო დასაბუთების გარეშე აღნიშნული ღონისძიების გამოყენება შეიძლება ჩაითვალოს მსჯავრდებულის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად.³³

პატიმრობის კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად,

„ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ საკუთარი თავის, გარშემომყოფთა და ქონების დაზიანების თავიდან აცილების, დაწესებულებაში დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის აღკვეთის, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ სისტემის ორგანოს მოსამსახურის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის, თავდასხმის მოგერიების, ჯგუფური დაუმორჩილებლობის ან/და მასობრივი არეულობის აღკვეთის მიზნით, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ შეიძლება გატარდეს შემდეგი უსაფრთხოების ღონისძიებები: ა) სპეციალური საშუალებების გამოყენება; ბ) სხვა ბრალდებულთაგან/მსჯავრდებულთაგან მისი განცალკევება; გ) დროებით სხვა პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანა; დ) არაუმეტეს 24 საათით სამართლო საკანში მოთავსება.“

ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „უსაფრთხოების ღონისძიების განხორციელება წყდება დაუყოვნებლივ, იმ საფრთხის აღმოფხვრისთანავე, რომლის აღსაკვეთადაც ეს ღონისძიება გამოიყენებოდა.“³⁴ ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „დაუშვებელია უსაფრთხოების ღონისძიების ბრალდებულის/მსჯავრდებულის დასჯის მიზნით გამოყენება.“

როგორც სპეციალური პრევენციული ჯგუფის მხრიდან შესაბამისი მასალების შესწავლით გაირკვა, რამდენიმე შემთხვევაში მსჯავრდებული განცალკევებით მოათავსეს ისეთ საკანში, სადაც მიმდინარეობდა ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა. გარდა ამისა, რამდენიმე შემთხვევაში მსჯავრდებულისათვის ელექტრონული მეთვალყურეობის დაწესების დროს ავტომატურად განხორცილდა მისი განცალკევებით მოთავსებაც.

³³წამების, არაადამიანური დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის ევროპული კომიტეტი (CPT), კომიტეტის ვიზიტი უკრაინაში 1-10 დეკემბერი 2012 წელი, პარაგრაფი 52, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.cpt.coe.int/documents/ukr/2013-23-inf-eng.htm> [ბოლოს ნანახია 28.04.2016]

სპეციალური პრევენციული ჯგუფი მიიჩნევს, რომ ორივე ღონისძიების გამოყენება უნდა დასაბუთდეს ცალ-ცალკე ისევე, როგორც ამ ღონისძიებების გაგრძელების საჭიროება.

აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულის განცალკევება და მეთვალყურეობის განხორციელება განიხილება უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ორ სხვადასხვა ღონისძიებად. მართალია, რიგ შემთხვევებში შესაძლოა საჭირო იყოს ორივე ღონისძიების ერთდროულად გამოყენება, მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ მსჯავრდებულის განცალკევების შემთხვევაში ავტომატურად უნდა მოხდეს მეთვალყურეობის დაწესება და პირიქით. ორივე ღონისძიების გამოყენება უნდა დასაბუთდეს ცალ-ცალკე ისევე, როგორც ამ ღონისძიებების გაგრძელების საჭიროება.

აღსანიშნავია, რომ N17 დაწესებულების ადმინისტრაციამ სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს არ მიაწოდა განცალკევების შესახებ დირექტორის ბრძანებებზე თანდართული უსაფრთხოების განყოფილების შუამდგომლობების ასლები, რადგან, როგორც განმარტეს, ეს შუამდგომლობები წარმოადგენს საიდუმლოებას.³⁴ ამდენად, ჯგუფის წევრებმა ვერ შეძლეს შეეფასებინათ, თუ რამდენად დასაბუთებული ან/და პროპორციული იყო აღნიშნული ღონისძიებების გამოყენება.

2015 წლის განმავლობაში, დროებით სხვა პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანილ იქნა 660 მსჯავრდებული, ხოლო 2016 წლის აგვისტოს თვის მონაცემებით - 269 მსჯავრდებული. დაწესებულებაში მსჯავრდებულის არა უმეტეს 24 საათით სამართლო საკანში მოთავსების ღონისძიება არ გამოყენებულა. დაწესებულებას უსაფრთხო ოთახები და დეესკალაციის ოთახები არ აქვს.³⁵

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2015³⁶ წლის განმავლობაში სპეციალური საშუალება ხელბორკილის სახით 3-ჯერ იყო გამოყენებული. ხოლო 2016 წლის განმავლობაში (აგვისტოს მონაცემებით) ადმინისტრაციას სპეციალური საშუალებები არ გამოუყენებია³⁷.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- ❖ მიიღოს ყველა ზომა, რათა დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების შუამდგომლობები ელექტრონული მეთვალყურეობის განხორციელების თაობაზე, შეიცავდეს მონაცემებს, თუ რა მეთოდით, ვის მიერ და რა კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით განხორციელდა ამა თუ იმ მსჯავრდებულისაგან მომდინარე

³⁴N17 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2016 წლის 20 აგვისტოს წერილი 792328 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N03-4/10474)

³⁵ იქვე,

რისკის შეფასება

- ❖ მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა ზომები არაეფექტურია. ამასთან, უზრუნველყოფილი იყოს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ გადაწყვეტილების სათანადო დასაბუთება
- ❖ მსჯავრდებულის განცალკევების და ელექტრონული მეთვალყურეობის განხორციელების საჭიროების დასაბუთება მოხდეს ცალ-ცალკე და მხოლოდ ერთი ღონისძიების გამოყენების საფუძვლებზე არსებობისას არ მოხდეს მეორე ღონისძიების გამოყენება ავტომატურად.

4. პატიმრობის პირობები

4.1 ფიზიკური გარემო, სანიტარულ ჰიგიენური მდგომარეობა

პენიტენციური დეპარტამენტის N17 დაწესებულებაში 6 საცხოვრებელი კორპუსი და სხვადასხვა ტიპის საკნებია. დაწესებულებაში არის 4, 6, 8, 10, 12, 14, 16, 18, 20, 22, 24, 26, 30, 32 და 34-ადგილიანი საკნები.³⁸ საკნები გადატვირთულია და არსებული ფართი არ შეესაბამება საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ, 20 და მეტ ადგილიან საკნებში თითო მსჯავრდებულისთვის განსაზღვრული ფართი დაახლოებით 2.5 მ²-მდე მერყეობს, თუმცა არც 20-ზე ნაკლებ ადგილიან საკნებშია უკეთესი მდგომარეობა.

წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა, 2014 წელს განხორციელებული ვიზიტის შემდგომ, საქართველოს მთავრობას პენიტენციური დაწესებულებების მრავალადგილიან საკნებში მოთავსებული თითოეული მსჯავრდებულის 4 კვადრატული მეტრის სიდიდის პირადი ფართით უზრუნველყოფის რეკომენდაციით მიმართა.³⁹ საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „1 მსჯავრდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა ყველა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 4 კვ. მეტრზე ნაკლები.“

თითოეული მსჯავრდებულის 4 კვადრატული მეტრის ფართით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით აგრეთვე საუბარია საქართველოს სახალხო დამცველის 2014 და 2015 წლის

³⁸ 2016 წლის 22 იანვარს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული, N17 დაწესებულების დირექტორის N829/16 წერილის თანახმად

³⁹ 2014 წლის 1-11 დეკემბერი საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიში, CPT/Inf (2015) 42 18, პარ. 48.

საპარლამენტო ანგარიშებში⁴⁰. აღნიშნული რეკომენდაცია დღემდე შეუსრულებელია. რეკომენდაციის შესრულებისათვის არ არის გადადგმული შესაბამისი ნაბიჯები.

ნელსონ მანდელას წესების შესაბამისად, ყველა ადგილი, რომლითაც სარგებლობენ მსჯავრდებულები, განსაკუთრებით ყველა საძინებელი ოთახი, სრულად უნდა პასუხობდეს სანიტარულ მოთხოვნებს. ამასთან, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს კლიმატურ პირობებს, განსაკუთრებით ჰაერის კუბურ მოცულობას, მინიმალურ ფართობს, განათებას, გათბობას და ვენტილაციას.⁴¹

N17 დაწესებულებაში არსებული მსჯავრდებულთა საცხოვრებელი კორპუსები მოძველებულია და საჭიროებს კაპიტალურ სარემონტო სამუშაოებს. საკნებში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა არაადაკმაყოფილებელია და არსებული სავენტილაციო სისტემა ვერ უზრუნველყოფს სათანადო განთავსებას. დაწესებულების მესამე საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე არსებულ საკნებში შეინიშნებოდა სინესტე. ერთ-ერთ საკანში, საწოლების თავზე, იყრებოდა ბათქაში, რის გამოც გადაჭიმული იყო ნაჭერი, რომელშიც გროვდებოდა ჩამოშლილი ბათქაში.

N17 დაწესებულებაში კვლავ ვხვდებით ბარაკის ტიპის საცხოვრებლებს, სადაც არ არის უზრუნველყოფილი პრივატული გარემო, მწვეელი და არამწვეელი მსჯავრდებულები ერთ სივრცეში ცხოვრობენ, რთულია სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა და მაღალია ინფექციური დაავადებების გავრცელების რისკი; გარდა ამისა, ასეთი ტიპის საცხოვრებელი უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისითაც დამატებით, მნიშვნელოვან გამოწვევებს ქმნის.

დაწესებულების დახურული ტიპის კორპუსში მსჯავრდებულებისათვის განკუთვნილია 25 საკანი. მათ შორის, საკარანტინო საკანი, მოშიშმილეთა საკანი, საიზოლაციო საკანი და სამართლო საკანი. აღნიშნულ კორპუსებში არსებული საკნები მოძველებულია და საჭიროებს კაპიტალურ სარემონტო სამუშაოებს, საკნებში არ არის ხელოვნური ვენტილაცია, ხოლო განათება არასაკმარისია. ვიზიტის დროს, 4 საკანში არსებულ ფანჯრებს არ ჰქონდა მინები და მის ნაცვლად აკრული იყო პოლიეთილენის პარკები, რაც ვერ უზრუნველყოფდა ტემპერატურის შენარჩუნებას. აღნიშნულ საკნებში იგრძნობოდა სიცივე. დახურული ტიპის კორპუსში არსებულ საკნებში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა არაადაკმაყოფილებელია.

დაწესებულებაში მსჯავრდებულთა ხანგრძლივი პაემნების უზრუნველსაყოფად გამოყოფილია 10 ოთახი. ყველა ოთახი იდენტურია, თითოეულის ფართობია – 17 კვ.მ. ოთახები აღჭურვილია ყველა საჭირო ავეჯითა და ინვენტარით. 6 ოთახში არსებული მდგომარეობა ადაკმაყოფილებელია, ხოლო დანარჩენი 4 ოთახი საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს.

⁴⁰ სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში გვ. 68, საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში გვ. 93.

⁴¹ ნელსონ მანდელას წესები, წესი 13

საყურადღებოა დაწესებულების სამხარეულოში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის კუთხით არსებული ვითარება. მონიტორინგის დროს აღმოჩნდა, რომ N17 დაწესებულების სამხარეულოში არ იყო ჭურჭლის სარეცხი ნიჟარა. ჭურჭელი ირეცხებოდა სამხარეულოს იატაკზე, რკინის ყუთში რეზინის მილიდან მომდინარე ცივი წყლის ჭავლით. თუმცა დაწესებულების დირექტორის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, მომზადდა სასადილო-სამხარეულო შენობის საპროექტო დოკუმენტაცია; მიმდინარეობს სასადილო-სამხარეულო შენობის კაპიტალური სარეკონსტრუქციო სამუშაოები და გარემონტდა დაწესებულების სამედიცინო ოთახები.⁴²

დაწესებულების ნახევრად ღია ტიპის საცხოვრებელი კორპუსების მსჯავრდებულებს დღის განმავლობაში შეუძლიათ თავისუფლად გადაადგილდნენ მათი საცხოვრებელი კორპუსისა და სასაერთო ეზოს ტერიტორიაზე, ხოლო დახურული ტიპის საცხოვრებელ კორპუსში განთავსებულ მსჯავრდებულებს შეუძლიათ დღის განმავლობაში ისარგებლონ 1 საათიანი გასაერნების უფლებით. ნახევრად ღია ტიპის საცხოვრებელი კორპუსების სასაერთო ეზოებში არის მაგიდები, სკამები, სპორტული მოედნები და ვარჯიშისათვის საჭირო ინვენტარი. სპორტული და დასასვენებელი ინვენტარი არ არის დახურული ტიპის სარეჟიმო კორპუსის სასაერთო ეზოში. აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით საუბარია საქართველოს სახალხო დამცველის 2014 და 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშებში⁴³, თუმცა პრობლემის აღმოსაფხვრელად არ გადადგმულა შესაბამისი ნაბიჯები.

N17 დაწესებულების ადმინისტრაციის შენობის პირველ სართულზე 4 საგამოძიებო ოთახია. აღნიშნულ ოთახებში გარდა საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენლებისა, მსჯავრდებულებს ხვდებიან ადვოკატები, სასულიერო პირები, საერთაშორისო ორგანიზაციების და სახალხო დამცველის წარმომადგენლები, ვისთანაც საუბრის კონფიდენციალურობა კანონითაა გარანტირებული. ყველა ოთახში დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერა. მსჯავრდებულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საგამოძიებო ოთახებში არსებული სათვალთვალო კამერების საშუალებით მიმდინარეობს მათი საუბრის აუდიო-ვიდეო ჩაწერა, რაც უარყოფითად მოქმედებს მსჯავრდებულთა გახსნილობაზე და საუბრის დროს გარკვეულწილად ზღუდავს მათ.

სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა ასევე მოინახულა სამეურნეო ნაწილის 25 მსჯავრდებული. აღნიშნულ ნაწილში 2 კამერაა, თითოეული მათგანის ფართობი საშუალოდ 20-23 კვ.მ-ია, რაც 25 მსჯავრდებულისათვის უკიდურესად მცირე ფართია. ოთახებში ბუნებრივი ვენტილაცია საკმარისი არ არის. ზოგადად, საკნები ძალიან ცუდ მდგომარეობაშია და საჭიროებს დაუყოვნებლივ სარემონტო სამუშაოებს.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

❖ N17 დაწესებულებაში არსებულ საკნებში თითოეული მსჯავრდებული

⁴² N17 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის წერილი MOC 516 00691423 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N3-4/8674).

⁴³ სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში გვ. 68, საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში გვ. 94.

უზრუნველყოფილ იქნეს პატიმრობის კოდექსით დადგენილი 4 კვადრატული მეტრის საცხოვრებელი ფართობით

- ❖ დაწესებულებაში არსებულ მსჯავრდებულთა საცხოვრებელ კორპუსებში განხორციელდეს კაპიტალური სარემონტო სამუშაოები
- ❖ გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები საკნებში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად
- ❖ უზრუნველყოფილ იქნეს საკნებში არსებული სავენტილაციო სისტემების გამართული მუშაობა
- ❖ დახურული ტიპის საცხოვრებელ კორპუსში არსებულ ფანჯრებზე პოლიეთილენის პარკები ჩანაცვლდეს შუშით
- ❖ მსჯავრდებულთა ხანგრძლივი პაემანების ოთახებში განხორციელდეს სარემონტო სამუშაოები
- ❖ დაწესებულების სამზარეულოში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით მოეწყოს ჭურჭლის სამრეცხაო
- ❖ დახურული ტიპის სარეჟიმო კორპუსის სასეირნო ეზოები უზრუნველყოფილ იქნეს სპორტული და დასასვენებელი ინვენტარით
- ❖ სახალხო დამცველის/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებისათვის გამოიყოს ოთახი, სადაც საქართველოს სახალხო დამცველს/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს ნებისმიერ დროს ექნება საშუალება, შეხვდეს მსჯავრდებულს ყოველგვარი მიყურადებისა და თვალთვალის გარეშე

4.2 დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები

სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის ან ნებისმიერი მსგავსი ღონისძიების დანიშვნის მიზანი, საბოლოო ჯამში, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაციაა. ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელია, თუ ციხეში გატარებული პერიოდი შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფს გათავისუფლების შემდეგ პიროვნების საზოგადოებაში რეინტეგრაციას, ისე რომ მან შეძლოს კანონმორჩილი ცხოვრება და საკუთარი არსებობის უზრუნველყოფა. ამისათვის დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს მსჯავრდებულის განათლება, პროფესიული სწავლება, მუშაობა და სხვა სახის აღმზრდელობითი და სპორტული ხასიათის დამხმარე აქტივობები, რაც მსჯავრდებულს უნდა მიეწოდოს მისი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.⁴⁴

⁴⁴ მანდელას წესები, წესი 4.

სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2016 წლის ანგარიშის თანახმად, საჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა, როგორც საპილოტე პროგრამა, სხვა დაწესებულებებთან ერთად N17 დაწესებულებაშიც განხორციელდა. სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის მექანიზმი 2017 წლის 31 დეკემბრამდე ყველა დაწესებულებას მოიცავს, რაც მისასაღმებელია.

სასჯელადსრულების დეპარტამენტის N17 დაწესებულებაში 5 სარეჟიმო კორპუსია. ყველა მათგანს აქვს სასეირნო ეზო (I და II საცხოვრებელ კორპუსებს, ისევე, როგორც III და IV კორპუსებს აქვს საერთო სასეირნო ეზო). დაწესებულებაში არის კალათბურთის, ფეხბურთის და ფრენბურთის მოედნები, ასევე ტენისის მაგიდები. მსჯავრდებულები თავისუფლად გადაადგილდებიან მათივე საცხოვრებელი კორპუსისა და სასეირნო ეზოს ტერიტორიაზე და სარგებლობენ გასეირნების უფლებით ყოველდღე 09:30 საათიდან - 17:45 საათამდე.

აღსანიშნავია, რომ სამეურნეო ნაწილში განთავსებულ, დასუფთავებაზე პასუხისმგებელ მსჯავრდებულებს, ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში, ციხის არაფორმალური წესებიდან გამომდინარე, არ შეუძლიათ დღის მანძილზე თავისუფლად ისეირნონ ეზოში, ისარგებლონ სპორტული მოედნით, შევიდნენ ეკლესიაში ან ივარჯიშონ სხვებთან ერთად.

დახურული ტიპის რეჟიმისთვის განკუთვნილ შენობაში თავსდებიან მსჯავრდებულები, რომლებსაც სასჯელის მოხდა განსაზღვრული აქვთ დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, ასევე მოშიშშილე და დაწესებულებაში ახლად შეყვანილი მსჯავრდებულები. აღნიშნული შენობა იზოლირებულია სხვა საცხოვრებელი კორპუსებისგან და შესაბამისად, აქვს თავისი სასეირნო ეზო.

ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით ყველა დაწესებულებაში მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ დასვენებისა და კულტურული საქმიანობის შესაძლებლობით⁴⁵. სასჯელადსრულების დაწესებულება უნდა ცდილობდეს, რომ მსჯავრდებულები უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობით, რომლებიც იქნება შეძლებისდაგვარად მრავალმხრივი და უპასუხებს მსჯავრდებულთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მათი მისწრაფებების გათვალისწინებით.⁴⁶

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან მსჯავრდებულები საუბრობდნენ დაწესებულებაში არსებული სარეაბილიტაციო პროგრამების ერთფეროვნებაზე, აგრეთვე უჩიოდნენ ბიბლიოთეკის მუშაობის გრაფიკს და მოძველებულ ლიტერატურას, რაც მათი აზრით, უკარგავთ კითხვის სურვილს. N17 პენიტენციური დაწესებულების ბიბლიოთეკა ფუნქციონირებას ყოველდღე 08:30 სთ-დან 13-სთ-მდე.⁴⁷

⁴⁵ ნელსონ მანდელას წესები, წესი 105.

⁴⁶ ევროპული ციხის წესები, წესი 28.1

⁴⁷ N17 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2016 წლის 20 აგვისტოს წერილი 792328 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N03-4/10474)

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დღის განმავლობაში ბიბლიოთეკის მუშაობის საათების გაზრდა აუცილებელია იმისათვის, რომ მსჯავრდებულებმა სრულფასოვნად ისარგებლონ ბიბლიოთეკით.

N17 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის მიერ გამოგზავნილი წერილით ირკვევა, რომ დაწესებულების ბიბლიოთეკის განახლება ხდება დაახლოებით კვარტალში ერთხელ. სპეციალური პრევენციული ჯგუფი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია ბიბლიოთეკაში წიგნების განახლება განხორციელდეს რეგულარულად. მონიტორინგის ჯგუფი მომავალშიც აქტიურად დააკვირდება ბიბლიოთეკის განახლებისა და ფუნქციონირების პროცესს.

სამეურნეო ნაწილში ჩარიცხულმა მსჯავრდებულებმა გასაუბრებისას განაცხადეს, რომ სურვილი აქვთ დაწესებულებაში განხორციელდეს სხვადასხვა სახის სოციალური პროგრამები და სპორტული ღონისძიებები. ისინი აცხადებენ, რომ ადმინისტრაცია აწვდით ინფორმაციას დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ, თუმცა შემდგომ ღონისძიებები აღარ ტარდება.

2015 წლის განმავლობაში N17 პენიტენციურ დაწესებულებაში ჩატარდა შემდეგი სახის კულტურულ/სპორტული და სხვა სახის ღონისძიებები:⁴⁸

N	ღონისძიება	ორგანიზატორი	მონაწილეთა რაოდენობა
1	შეხვედრა თემაზე „ქართული ლითონ-მქანდაკელობის ისტორია“	პენიტენციური დეპარტამენტი საქართველოს ეროვნული საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში	30
2	რელიგიურ თემებთან დაკავშირებული ლექცია-სემინარი	წმინდა სტეფანე აღმსარებლის კულტურულ-საგანმანათლებლო სახლის პროექტის ფარგლებში	30
3	პოეზიის სადამო	დაწესებულების სოციალური განყოფილება	27
4	შეხვედრა თეატრ-მცოდნესთან	პენიტენციური დეპარტამენტი	
5	რელიგიურ და თეოლოგიურ თემებთან დაკავშირებული ლექცია-სემინარი	წმინდა სტეფანე აღმსარებლის კულტურულ საგანმანათლებლო სახლის პროექტის ფარგლებში	48
6	„ქართული ლითონ-მქანდაკელობის ისტორია“	პენიტენციური დეპარტამენტი და საქართველოს ეროვნული	30

⁴⁸ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N17 ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, 2016 წლის 14 იანვრის MOC81600034119 წერილი (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული –N17472).

		საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში	
7	სპორტული ღონისძიება - გინესის რეკორდის დამყარება	პენიტენციური დეპარტამენტი	12

2016 წლის აგვისტოს მდგომარეობით N17 პენიტენციურ დაწესებულებაში ჩატარდა შემდეგი სახის კულტურულ/სპორტული ღონისძიებები:⁴⁹

N	ღონისძიება	მონაწილეთა რაოდენობა
1	კულტურული ღონისძიება, ფილმის ჩვენება „მიწის სჯული“	69
2	კულტურულ საგანმანათლებლო ღონისძიება, რელიგიურ და თეოლოგიურ თემებთან დაკავშირებული ლექცია-სემინარი-	55
3	კულტურულ საგანმანათლებლო ღონისძიება, შეხვედრა რეჟისორ გიორგი აფხაზავასთან	15
4	კულტურულ საგანმანათლებლო ღონისძიება, სასულიერო პირების შეხვედრა მუსლიმ მსჯავრდებულებთან	104
5	კულტურულ საგანმანათლებლო ღონისძიება, შეხვედრა თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძესთან	15
6	სპორტული ღონისძიება, ფეხბურთის მატჩი	90
7	სპორტული ღონისძიება, მსოფლიო რეკორდის დამყარება	

აღსანიშნავია, რომ 2016 წლის აგვისტოს თვის ჩათვლით, დაწესებულების სამეურნეო მომსახურებაში ჩარიცხული არცერთი მსჯავრდებული არ ყოფილა ჩართული კულტურულ/სპორტულ ღონისძიებებში. ასევე, სარეაბილიტაციო აქტივობების შერჩევის პროცესისათვის მსჯავრდებულთა გამოკითხვა ბოლოს განხორციელდა 2015 წელს. ამავე დროს, აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მსჯავრდებულებს პროფესიული განათლება არ მიუღიათ.⁵⁰

2015 წელს N17 პენიტენციურ დაწესებულებაში ჩატარდა შემდეგი სახის სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო აქტივობები:⁵¹

⁴⁹ N17 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2016 წლის 20 აგვისტოს წერილი 792328 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N03-4/10474)

⁵⁰ N17 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის წერილი MOC 516 00691423 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N3-4/8674)

⁵¹ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N17 ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, 2016 წლის 14 იანვრის MOC81600034119 წერილი

N	აქტივობა	მონაწილეთა რაოდენობა
1	ხეზე კვეთა	225
2	კომპიუტერული საოფისე საბაზისო კურსი	78
3	ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი	12
4	ქართული ენის შემსწავლელი კურსი	18
5	კომპიუტერული გრაფიკა	14
6	მართის მოწმობის შემსწავლელი კურსები	41
7	მცირე ბიზნესის შემსწავლელი კურსები	19
8	კომპიუტერული პროგრამა Access	6
9	ცხოვრების ჯანსაღი წესი	34
10	არტ-თერაპია	11
11	სტრესის მენეჯმენტი	7
12	თეატრალური დასი	12
13	პოზიტიური აზროვნების უნარების განვითარება	10
14	მომზადება განთავისუფლებისათვის	15

2016 წლის მონაცემებით N17 პენიტენციურ დაწესებულებაში ჩატარდა შემდეგი სახის სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო აქტივობები:⁵²

ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ჩატარებული სარეაბილიტაციო აქტივობები	აქტივობებში ჩართულ მსჯავრდებულთა რაოდენობა
სახელობო/პროფესიული კურსები	
ქართული ენის შემსწავლელი კურსი	14
ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი	26
გერმანული ენის შემსწავლელი კურსი	19
კომპიუტერული გრაფიკა	18

(საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული –N17472).

⁵²N17 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2016 წლის 20 აგვისტოს წერილი 792328 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N03-4/10474)

პროგრამა „Access“	19
კომპიუტერული საოფისე პროგრამების შესწავლა	6
ვებდიზაინის შემსწავლელი კურსი	17
სასტუმრო საქმის მწარმოებელი	14
მცირე ბიზნესის მწარმოებელი	15
ლექცია/სემინარი რელიგიურ და თეოლოგიურ თემებთან დაკავშირებით	55
ტრენინგი თემაზე ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უფლებების შესახებ	49
ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი	8
მართვის მოწმობა (თეორიული კურსი)	44
ხეზე კვეთა	33
ხატწერა	7
ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია	
გათავისუფლებისთვის მომზადება	10
პენიტენციური სტრესი	13
პოზიტიური აზროვნების უნარების განვითარება	8
ბიბლიოთერაპია	8
თეატრალური დასი	15
არტთერაპია	11

2016 წლის აგვისტოს თვის ჩათვლით, მსჯავრდებულებს პროფესიული განათლება არ მიუღიათ. სამეურნეო ნაწილში დასაქმებულებიდან 10 მსჯავრდებული იღებდა მონაწილეობას სარეაბილიტაციო პროგრამებში.

ცხრილში მოცემული მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასჯელაღსრულების N17 დაწესებულებაში სარეაბილიტაციო აქტივობების მრავალფეროვნებისა და მსჯავრდებულთა ჩართულობის კუთხით წინა წელთან შედარებით მცირედით გაუმჯობესების ტენდენციაა. მიუხედავად ამისა, მონიტორინგის ჯგუფთან გასაუბრებისას მსჯავრდებულები აღნიშნავდნენ, რომ დაწესებულებაში არსებული სარეაბილიტაციო პროგრამები არ არის საკმარისი და ერთფეროვანია.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო ღონისძიებები უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს მსჯავრდებულთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, რომ ყოველწლიურად მოხდეს მსჯავრდებულთა გამოკითხვის გზით მათთვის საინტერესო ღონისძიებებისა და პროგრამების იდენტიფიცირება და შემდგომში შეთავაზება, ასევე მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად უფრო ხშირად უნდა გამოიყენებოდეს წახალისების ფორმები. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული პროგრამები ვერ უზრუნველყოფს მსჯავრდებულის რეაბილიტაციას და გათავისუფლების შემდეგ მის რეინტეგრაციას საზოგადოებაში.

4.3. დასაქმება

ევროპული ციხის წესების თანახმად, „სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულის მუშაობა უნდა აღიქმებოდეს, როგორც ციხის რეჟიმის პოზიტიური ელემენტი და არასდროს არ უნდა იქნეს სასჯელის სახით გამოყენებული.“⁵³ „ციხის ხელმძღვანელობა უნდა ცდილობდეს სასარგებლო ხასიათის საკმარისი სამუშაოთი მსჯავრდებულების უზრუნველყოფას.“⁵⁴ „მსჯავრდებულისათვის განკუთვნილი სამუშაო უნდა იყოს შეძლებისდაგვარად იმგვარი, რომ უნარჩუნებდეს ან ავითარებდეს მსჯავრდებულის მიერ გათავისუფლების შემდგომ თავის რჩენის უნარს.“⁵⁵

2015 - 2016 წელს N17 დაწესებულების სამეურნეო მომსახურებაში ჩარიცხული მსჯავრდებულები დასაქმებული იყვნენ სხვადასხვა სახის სამუშაოებზე, კერძოდ: დაწესებულების ტერიტორიის დასუფთავება, საკვები პროდუქტების დარიგება, ამანათების მიწოდება, დალაქი, ბიბლიოთეკარი. დასაქმებულ მსჯავრდებულებს შესრულებული სამუშაოსთვის ეძლეოდათ ანაზღაურება ხელფასის სახით, რომლის ოდენობა განისაზღვრებოდა მათი პოზიციის შესაბამისად (ჯგუფის წევრი - 200 ლარი, ჯგუფის უფროსის მოადგილე 225 ლარი, ჯგუფის უფროსი - 250 ლარი)⁵⁶.

პენიტენციურ დაწესებულებებში მსჯავრდებულთა სამეურნეო სამსახურში ჩარიცხვა რეგულირდება „მსჯავრდებულის მიერ სამეურნეო სამუშაოების შესრულების და მისთვის ანაზღაურების მიცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N157 ბრძანების საფუძველზე. აღნიშნული ბრძანების თანახმად, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად მსჯავრდებულის ჩარიცხვა მსჯავრდებულის წერილობითი განცხადების საფუძველზე

⁵³ ციხის ევროპული წესები. წესი 26.1.

⁵⁴ იქვე, წესი 26.2.

⁵⁵ იქვე, წესი 26.3.

⁵⁶ N17 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის წერილი MOC 516 00691423 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N3-4/8674).

ფორმდება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.⁵⁷ დაწესებულების დირექტორის ბრძანება მსჯავრდებულის სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად ჩარიცხვის შესახებ არ შეიცავს ისეთ მონაცემს, როგორცაა შესასრულებელი სამუშაოს სახე. აღნიშნული კი შრომის კოდექსითაა⁵⁸ გაწერილი და შრომითი ხელშეკრულების არსებით პირობას წარმოადგენს. შესასრულებელი სამუშაოს სახის განუსაზღვრელობა მუშა მსჯავრდებულებს დაწესებულებაში სხვადასხვა ისეთი სამუშაოს შესრულების საფრთხის წინაშე აყენებს, რაც მათთვის დასაქმებამდე უცნობი იყო.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- ❖ განხორციელდეს უფრო მეტი და მრავალფეროვანი სარეაბილიტაციო აქტივობები. ამ მიზნით, მოხდეს საჭიროებების შეფასება და მსჯავრდებულების მიერ ყველაზე მეტად მოთხოვნადი აქტივობების დადგენა
- ❖ მიიღოს ყველა ზომა, რათა განხორციელდეს არსებული ბიბლიოთეკით სამუშაო საათების გაზრდა და მასში არსებული ლიტერატურის პერიოდული განახლება
- ❖ მიიღოს ყველა ზომა, რათა დასუფთავებაზე პასუხისმგებელ მსჯავრდებულებს, დაწესებულებაში სხვების მსგავსად შეეძლოთ დღის მანძილზე თავისუფლად ისეირნონ ეზოში, ისარგებლონ სპორტული მოედნით, შევიდნენ ეკლესიაში ან ივარჯიშონ სხვებთან ერთად
- ❖ მიიღოს ყველა ზომა, რათა მსჯავრდებულებისათვის უზრუნველყოფილი იქნეს პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა
- ❖ სამეურნეო სამსახურში მსჯავრდებულის ჩარიცხვის ბრძანებაში ან თანდართულ დოკუმენტში განისაზღვროს, კონკრეტულად რა სამუშაოს შესასრულებლად ხდება სამეურნეო სამსახურში მსჯავრდებულის ჩარიცხვა

5. სამედიცინო მომსახურება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით,⁵⁹ დაკავებულ პირთათვის ადეკვატური მკურნალობის გაუწევლობა არაადამიანურ მოპყრობას უთანაბრდება.⁶⁰

⁵⁷ „მსჯავრდებულის მიერ სამეურნეო სამუშაოების შესრულების და მისთვის ანაზღაურების მიცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N157-ე ბრძანება, დანართი 1, მუხლი 4.

⁵⁸ შრომის კოდექსი, მე-6 მუხლი, მე-9 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

⁵⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *დუბეკა ალბანეთის წინააღმდეგ (Dubeku v. Albania)*, პარ. 41.

⁶⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *პოღოსიანი საქართველოს წინააღმდეგ (Poghosyan v. Georgia)*, პარ. 47-49.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი მიიჩნევს, რომ სასჯელადსრულების ჯანდაცვის სისტემამ მსჯავრდებულებისათვის უნდა უზრუნველყოს ისეთივე სტანდარტის მკურნალობა, როგორც სარგებლობენ ამ ქვეყანაში სხვა პაციენტები ასეთი დაწესებულებების ფარგლებს გარეთ.⁶¹

ადეკვატური სამედიცინო მომსახურება მოიცავს საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მკურნალობას, სწორი დიაგნოზის დასმას, სისტემატურ მეთვალყურეობასა და ყოვლისმომცველი თერაპიული სტრატეგიის დასახვას, რომლის მიზანაც მსჯავრდებულის გამოჯანმრთელება ან დაავადების პროგრესირების პრევენცია იქნება და არა სიმპტომური მიდგომით მისი ჩივილების ლოკალურად მკურნალობა. სახელმწიფოს ევალება, რომ ექიმის მიერ დადგენილი მკურნალობის რეჟიმი სათანადოდ იყოს დაცული და დაკავებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მკურნალობის ყველა ეტაპი დეტალურად იყოს აღწერილი და დოკუმენტირებული.⁶²

N17 დაწესებულებაში, როგორც 2014 წლის, ისე ბოლო ვიზიტის დროსაც მსჯავრდებულთა გარკვეული ნაწილი კვლავ პრეტენზიას გამოთქვამდა სამედიცინო დახმარების ადეკვატურად და დროულად აღმოჩენის კუთხით, რაზეც დეტალურადაა საუბარი მომდევნო ქვეთავებში.

5.1 დაწესებულების სამედიცინო პერსონალი და ინფრასტრუქტურა

საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N17 პენიტენციური დაწესებულების დებულების თანახმად, მსჯავრდებულთა ჯანმრთელობაზე ზრუნვისა და მათთვის სათანადო სამედიცინო სერვისების მიწოდების მიზნით დაწესებულებაში ფუნქციონირებს საექიმო-სამედიცინო პუნქტი, რომელიც სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის ტერიტორიული ერთეულია და არ შედის დაწესებულების სტრუქტურაში. საექიმო-სამედიცინო პუნქტში საქმიანობას ეწევიან სამინისტროს სამოქალაქო სამსახურის საჯარო მოსამსახურეები და მოწვეული სპეციალისტები.⁶³

დაწესებულებაში არსებულ საექიმო-სამედიცინო პუნქტში პაციენტებისათვის გამოყოფილია ორი პალატა. ერთი პალატა არადაამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, რადგან გათბობის სისტემის არსებობის მიუხედავად, ოთახში მუდმივად დაბალი ტემპერატურაა. ოთახში ხელოვნური ვენტილაციის სისტემის არარსებობის გამო, ფანჯარაში კუსტარულად მოწყობილია ვენტილატორი, რომლის გამორთვის და ფანჯრის დახურვის შემთხვევაში პალატაში წარმოიქმნება სუნი და უჰაერობა. ოთახის სიდიდის გამო, მუდმივად ღია ფანჯრის პირობებში ვერ ხდება სივრცის სათანადო გათბობა. ორივე პალატაში არსებული

⁶¹ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, გვ. 63, პუნქტი 38, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: <<http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-standards.pdf>> [ბოლოს ნანახია 06.05.2016].

⁶² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *სტანჩიუ რუმინეთის წინააღმდეგ (Iacov Stanciu v. Romania)*, პარ. 170.

⁶³ საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N17 პენიტენციური დაწესებულების დებულება, მუხ. 6(2).

საპირფარეშო არაა ადაპტირებული შშმ მსჯავრდებულთა საჭიროებებზე, რადგან საპირფარეშოში შესასვლელად მოწყობილია კიბის საფეხურები.

სამედიცინო ნაწილი ასევე აერთიანებს ორ განყოფილებიან სამხაპეს, საორდინატოროს, სტომატოლოგიურ და ქირურგიულ კაბინეტს, რომელთა ზოგადი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა სახალხო დამცველის წუხილს იწვევს შემდეგი გარემოებები: ვიზიტის დროისათვის ქირურგიულ კაბინეტში შეინიშნებოდა ინსტრუმენტების ნაკლებობა, სტომატოლოგიურ კაბინეტში ინსტრუმენტების სტერილიზაცია მხოლოდ დღეში ერთხელ ტარდებოდა, ასევე სამედიცინო პუნქტში არ იყო განცალკევებული სამანიპულაციო და საპროცედურო ოთახები, რის გამოც სტერილური და არასტერილური პროცედურები ერთი და იმავე ადგილას ტარდებოდა და აქვე ხდებოდა პაციენტების მიღება და გასინჯვაც.

N17 დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტში არსებულ სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე საუბარია დაწესებულებაში 2014 წელს განხორციელებული ვიზიტის შემდგომ ანგარიშშიც⁶⁴, თუმცა ბოლო ვიზიტისას დადგინდა, რომ დაწესებულების სამედიცინო ბლოკში სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების ზედმიწევნით მკაცრი დაცვა კვლავ არ ხდება. სანიტარული ნორმების დაუცველად მიღებული სამედიცინო მომსახურება კი შეიძლება უარყოფითი შედეგის მომტანი გახდეს პაციენტისთვის.

N17 დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტში დასაქმებულია 31 თანამშრომელი, აქედან 9 ექიმი (1 - მთავარი ექიმი, 4 - პირველადი ჯანდაცვის ექიმი, 3 - მორიგე ექიმი და 1 - ექიმი სტომატოლოგი), 1 სამედიცინო სამსახურის ადმინისტრაციული ასისტენტი, 1 პროვიზორი, 2 მედდა (1 - სამედიცინო ნაწილის მედდა და 1 ფსიქოტროპული მედიკამენტების აღრიცხვა-შენახვაზე პასუხისმგებელი მედდა) და 17 ექთანი (6 - პირველადი ჯანდაცვის ექთანი და 11 - მორიგე ექთანი), მათგან ოთხი ექიმი და ექვსი ექთანი გადანაწილებულია ოთხ პირველადი ჯანდაცვის გუნდში), რომლებიც ემსახურებიან სხვადასხვა კორპუსებს. დღის განმავლობაში დაწესებულებაში მუდმივად იმყოფება 5 ექიმი და 11 ექთანი, ხოლო ღამის საათებში მორიგეობს ერთი ექიმი და სამი ექთანი.⁶⁵

დაწესებულების სამედიცინო პერსონალში შედის ერთი სტომატოლოგი, რომელიც დღეში საშუალოდ 20 პაციენტს იღებს. კაბინეტი სათანადოდაა აღჭურვილი. სტომატოლოგი ორთოპედი დაწესებულებაში მოდის საჭიროებისამებრ და მისი ვიზიტისათვის წინასწარ გროვდება პაციენტთა გარკვეული რაოდენობა.

2014 წელს N17 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის ამსახველ ანგარიშში,⁶⁶ სახალხო დამცველი ყურადღებას ამახვილებდა სამედიცინო პერსონალის რაოდენობის უკმარისობაზე. ცხრილის სახით იხილეთ მედ. პერსონალის პროპორციული წილი დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულებთან მიმართებით 2014 და 2016 წელს.

⁶⁴ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში სასჯელაღსრულების N17 დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ, (2014), გვ. 15 <<http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3283.pdf>>.

⁶⁵ N17 დაწესებულების მთავარი ექიმის პასუხი MOC 71600795457 (21.09.2016)

⁶⁶ იქვე.

წელი	პერსონალის რაოდენობა		მსჯავრდებულთა რაოდენობა	თანაფარდობა
2014	ექიმი	ექთანი	2041 (2014 წლის 2 დეკემბრის მდგომარეობით)	1 ექიმზე საშუალოდ 226 მსჯავრდებული; 1 ექთანზე საშუალოდ 136 მსჯავრდებული
	9	15		
2016	10	19	1890 (2016 წლის მდგომარეობით) ⁶⁷	1 ექიმზე საშუალოდ 189 მსჯავრდებული; 1 ექთანზე საშუალოდ 99 მსჯავრდებული

წარმოდგენილ მონაცემთა შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ საშუალოდ ერთ ექიმზე და ექთანზე მსჯავრდებულთა რაოდენობამ დაიკლო. მსჯავრდებულთა რაოდენობის მცირე კლების პარალელურად ასევე უმნიშვნელოდ გაიზარდა სამედიცინო პერსონალის რაოდენობაც, რამაც განაპირობა ერთ ექიმსა და ექთანზე უფრო ნაკლები მსჯავრდებულის გადანაწილება.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ზოგადად N17 დაწესებულებაში სამედიცინო პერსონალის თუნდაც მცირეოდენი მატების ტენდენცია მისასაღმებელია, მაგრამ არსებული რაოდენობა კვლავ არაა საკმარისი მსჯავრდებულთა სამედიცინო საჭიროებების დაყოვნების გარეშე დასაკმაყოფილებლად. ეს განსაკუთრებით ეხება პირველადი ჯანდაცვის ექიმებს.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი აღნიშნავს, რომ ციხეში კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის ადეკვატური რაოდენობით ყოფნა, პენიტენციურ დაწესებულებაში ჯეროვანი ჯანდაცვის სტრატეგიის განხორციელების აუცილებელი წინაპირობაა. სამედიცინო პერსონალს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დააკმაყოფილოს ციხის მსჯავრდებულთა ყველა სპეციფიკური სამედიცინო საჭიროება.⁶⁸

⁶⁷ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <<http://www.moc.gov.ge/images/temp/2017/02/08/28f2cf400fa15b24bf1c6bf7e574aab8.pdf>>

⁶⁸ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიში საბერძნეთში ვიზიტის შესახებ, პარ. 52, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <<https://rm.coe.int/16806965ea>> [ბოლოს ნანახია: 23.09.2016].

5.2 სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტების მიხედვით, ექიმი ნებისმიერ დროს უნდა იყოს ხელმისაწვდომი მსჯავრდებულებისათვის, მათთვის განკუთვნილი რეჟიმის მიუხედავად. სამედიცინო მომსახურება იმგვარად უნდა იყოს ორგანიზებული, რომ დაუყოვნებლივ დაკმაყოფილდეს ექიმთან კონსულტაციის მოთხოვნა.⁶⁹ წამების საკითხებში გაერო-ს სპეციალური მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში მკურნალობა არაადაამაყყოფილებელია და დაწესებულებაში არსებული წამლების მარაგი შეზღუდული რაოდენობითაა.⁷⁰ სპეციალური მომხსენებელი მიუთითებს ციხეებში სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაზრდის ზოგად საჭიროებაზე.⁷¹

N17 დაწესებულების მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ მსჯავრდებულები სარგებლობენ როგორც ადგილობრივი სამედიცინო პერსონალის, ასევე გარედან მოწვეული ვიწრო სპეციალიზაციის ექიმების მომსახურებით. დაწესებულებაში ექიმის გარედან მოწვევა ხდება როგორც ინდივიდუალური, ასევე მულტიდისციპლინური ჯგუფების სახით, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა სპეციალიზაციის სამედიცინო პერსონალს. საანგარიშო პერიოდში სულ განხორციელდა შვიდი ასეთი მულტიდისციპლინური ჯგუფის ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც 58 ექიმის მიერ ჩატარდა 1140 სამედიცინო კონსულტაცია.

დაწესებულების სამედიცინო პერსონალის მიერ მსჯავრდებულებს მიეწოდებათ პირველადი ჯანდაცვის გუნდის კომპეტენციის შესაბამისი სრული ამბოლატორიული სამედიცინო მომსახურება, ასევე სტომატოლოგიური მომსახურებაც. როგორც წესი, პირველადი ჯანდაცვის მომსახურების მისაღებად მსჯავრდებული მიმართავს პირველადი ჯანდაცვის გუნდს, მას უტარდება ექიმის კონსულტაცია და საჭიროებიდან გამომდინარე იგეგმება შემდგომი სამედიცინო მომსახურება.

დაწესებულების მთავარი ექიმისაგან მიღებული ინფორმაციის მიხედვით,⁷² ექიმ-სპეციალისტის შემოყვანა ხდება გეგმიურად თვეში ერთხელ ან მეტჯერ თუკი ამის საჭიროება არსებობს. ექიმი სპეციალისტის საჭიროების შესახებ მოთხოვნას აყენებს პირველადი ჯანდაცვის გუნდის ექიმი, ხოლო შემოყვანას უზრუნველყოფს მთავარი ექიმი.

2016 წლის იანვარ-სექტემბრის პერიოდში გარედან მოწვეულმა ექიმ სპეციალისტებმა მსჯავრდებულებს გაუწიეს შემდეგი სახისა და რაოდენობის სამედიცინო მომსახურება:⁷³

⁶⁹ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, გვ. 61, პუნქტი 34, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: <<http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-standards.pdf>> [ბოლოს ნანახია 06.05.2016].

⁷⁰ წამების და სხვა სასტიკი, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის ან სასჯელის საკითხებში გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭოს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში საქართველოში ვიზიტის შესახებ, (2015), პარ. 93, ხელმისაწვდომია გაერო-ს ოფიციალურ ენებზე შემდეგ მისამართზე: <http://ap.ohchr.org/documents/dpage_e.aspx?si=A/HRC/31/57/Add.3> [ბოლოს ნანახია 06.05.2016].

⁷¹ იქვე, პარ. 91.

⁷² N17 დაწესებულების მთავარი ექიმის პასუხი MOC 71600795457 (21.09.2016)

⁷³ იქვე.

ნევროლოგი	363
ენდოკრინოლოგი	94
ოფთალმოლოგი	277
პროექტოლოგი	134
უროლოგი	310
ოტოლარინგოლოგი	233
კარდიოლოგი	196
დერმატოლოგი	341
ანგიოლოგი	56
ეპილეპტოლოგი	20
რევმატოლოგი	9
ტრავმატოლოგი	12
ინფექციონისტი	21
ნარკოლოგი	11
ფსიქიატრი	520
ექოსკოპია	714
რენტგენი	477

დაწესებულების დებულების მიხედვით, თუ მსჯავრდებულის მკურნალობა არ შეიძლება განხორციელდეს დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტში, იგი შეიძლება გადაყვანილ იქნეს მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში ან საერთო პროფილის საავადმყოფოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.⁷⁴

მიუხედავად დაწესებულების მთავარი ექიმის განცხადებისა, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პაციენტების სხვა სამკურნალო დაწესებულებებში გადაყვანის საკითხი, შესწავლილი მასალებიდან და მსჯავრდებულთა გამოკითხვიდან ირკვევა, რომ საჭიროების შემთხვევაში დაწესებულებიდან მსჯავრდებულის სამედიცინო მომსახურების მისაღებად გადაყვანა ვიზიტის დროისათვის კვლავ პრობლემური იყო.

⁷⁴ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N17 პენიტენციური დაწესებულების დებულება, მუხ. 52(9).

მთავარი ექიმის ინფორმაციით, ამბულატორიული გაყვანა უმრავლეს შემთხვევაში ხდება 1 თვეში, ხოლო სტაციონარში გაყვანა კი 4-6 თვეში. ერთეულ შემთხვევებში ხდება ვადის გადაცილება, თუმცა ეს ობიექტური მიზეზებით არის გამოწვეული. ექიმის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2016 წლის ივნისი-აგვისტოს შუალედში განხორციელდა მსჯავრდებულთა 50 სტაციონარული და 156 ამბულატორიული რეფერალი.⁷⁵

მოქმედი კანონმდებლობის⁷⁶ მიხედვით, დაწესებულების ექიმის წარდგინებით, მსჯავრდებულის გაყვანის საკითხს გონივრულ ვადაში განიხილავს სამედიცინო დეპარტამენტი და დაწესებულებას უგზავნის დადასტურებას, რის შემდეგაც თუ პაციენტს ესაჭიროება გეგმიური სამედიცინო მომსახურება, მას ენიჭება რიგითი ნომერი და ამ რიგითობით ხდება მისი გაყვანა პენიტენციური დაწესებულებიდან.

N17 დაწესებულებაში, ისევე, როგორც სხვა პენიტენციურ დაწესებულებებში ჭიანურდება სამედიცინო დეპარტამენტის მიერ მთავარი ექიმის შუამდგომლობის დადასტურება და პაციენტს ერთიან ბაზაში დარეგისტრირება, რაც გეგმიური მკურნალობის მიღების არაგონივრული ვადით გადადებას იწვევს. მონიტორინგისას აღმოჩნდა, რომ სამედიცინო დეპარტამენტიდან დადასტურების დაყოვნების გამო, ექიმთან კონსულტაციიდან სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანამდე პერიოდი ორი თვიდან ერთ წლამდეც კი მერყეობდა. მაგალითად, სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ შესწავლილი საქმეებიდან მ.გ.-ს შემთხვევაში ექიმთან კონსულტაციიდან მისი სამკურნალო დაწესებულებაში გაყვანამდე 1 წელი და 3 თვე გავიდა; მ.ლ.-ს შემთხვევაში ექიმთან კონსულტაციიდან სამკურნალო დაწესებულებაში გაყვანამდე 8 თვე გავიდა; დ.წ.-ს შემთხვევაში კონსულტაციიდან სამკურნალო დაწესებულებაში გაყვანამდე 6 თვე გავიდა.

თუმცა მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ 2016 წლის მეორე ნახევრიდან, ელექტრონულ ბაზაში დარეგისტრირებისას, სამედიცინო დეპარტამენტის მიერ შემთხვევის დროული დადასტურების პრობლემა აღარ არის და როგორც წესი, შემთხვევის დადასტურება ხდება გონივრულ ვადაში.

სამედიცინო მომსახურების კუთხით, N17 დაწესებულებაში ასევე პრობლემაა საჭირო მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა. მსჯავრდებულებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ რიგ შემთხვევაში პაციენტი ვერ იღებს ექიმის მიერ მკურნალობის კომპლექსური კურსის ფარგლებში დანიშნულ ძირითად მედიკამენტებს. მსჯავრდებულები ასევე აღნიშნავენ, რომ ისინი ვერ იღებენ დაწესებულებაში შემოსული სამოქალაქო სექტორის ექიმის მიერ დანიშნულ მედიკამენტებს, რადგან დაწესებულების ექიმი მათ ან შემცვლელ მედიკამენტს სთავაზობს, ან საერთოდ ვერ იღებენ გამოწერილ წამლებს. როგორც დაწესებულებების მონიტორინგმა აჩვენა, სამედიცინო პერსონალი მსჯავრდებულებს

⁷⁵ N17 დაწესებულების მთავარი ექიმის პასუხი MOC 71600795457 (21.09.2016)

⁷⁶ საქართველოს კანონი პატიმრობის კოდექსი, მუხ. 121¹(7); იხ. ასევე: საერთო პროფილის საავადმყოფოში, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის N55 ბრძანება, მუხ. 2.

უმეტესად იმ გენერიკ მედიკამენტებს უნიშნავს, რომლებიც ხელმისაწვდომია დაწესებულებაში სახელმწიფოს ხარჯზე, რის გამოც მსჯავრდებულებს ეზღუდებათ ბრენდული სახელწოდების მედიკამენტების საკუთარი ხარჯით შეძენის შესაძლებლობა. თუმცა დაწესებულების მთავარი ექიმის განცხადებით, პაციენტს მედიკამენტი მიეწოდება ექიმის დანიშნულებით, საჭიროების მიხედვით, ხოლო პაციენტის სურვილის შემთხვევაში მიიღოს დანიშნული მედიკამენტის ბრენდული ანალოგი, შესაძლებელია მისი გარე სექტორიდან შემოტანა.⁷⁷ სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია მსჯავრდებულებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, შესაბამისი დანიშნულების საფუძველზე, შეიძინონ თავდაპირველად დანიშნული გენერიკ მედიკამენტის შესაბამისი ბრენდული სახელწოდების მედიკამენტი დაწესებულების ავთიაქში ან ავთიაქის არარსებობის შემთხვევაში, მიიღონ ოჯახის წევრებისაგან.

ვიზიტის დროისათვის, N17 დაწესებულებაში პრობლემური იყო საქართველოს მოქალაქეობის არმქონე მსჯავრდებულების C ჰეპატიტის *სოფოსბუვირით* მკურნალობის პროგრამაში ჩართვა. დაწესებულებაში ვიზიტისას, მონიტორინგის ჯგუფის წევრები შეხვდნენ C ჰეპატიტით დაავადებულ (I გენოტიპი) მსჯავრდებულ კ. ყ.-ს, რომელიც არ იყო საქართველოს მოქალაქე. მსჯავრდებულმა აღნიშნა, რომ 2011 წლის 18 თებერვლიდან სასჯელს იხდიდა საქართველოში. ექიმებმა ურჩიეს მკურნალობა მედიკამენტ *სოფოსბუვირით*, რომელიც ხელმისაწვდომი იყო “C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში. ექიმის ინფორმაციით, ვინაიდან პაციენტი არ იყო საქართველოს მოქალაქე და არ ჰქონდა საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, მას უარი უთხრეს პროგრამით სარგებლობაზე.

აღნიშნულის საქმის შესწავლისას სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ კ.ყ-ს მიმართ ადგილი ჰქონდა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას, რასაც შესაძლოა მნიშვნელოვნად გაეუარესებინა მისი ჯანმრთელობა და საფრთხე შეექმნა მისი სიცოცხლისათვის. გარდა ამისა, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ პროგრამიდან გამორიცხვა მსჯავრდებული კ. ყ.-ს მიმართ პირდაპირი დისკრიმინაცია იყო, რამდენადაც ის იმყოფებოდა სახელმწიფო კონტროლის ქვეშ და საქართველოს მოქალაქეობის არქონის გამო ვერ სარგებლობდა ჯანმრთელობის შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით.⁷⁸

N17 დაწესებულებაში მსგავსი ფაქტი გამოვლინდა ასევე მსჯავრდებულ ა.ბ.-ს მიმართ, რომელსაც მწვავე ჰეპატიტური დაავადება (ცროზი) ჰქონდა, მაგრამ საქართველოს მოქალაქეობის არქონის გამო ვერ დარეგისტრირდა C ჰეპატიტის მკურნალობის სახელმწიფო პროგრამაში.

⁷⁷ N17 დაწესებულების მთავარი ექიმის პასუხი MOC 71600795457 (21.09.2016)

⁷⁸ სახალხო დამცველის რეკომენდაცია სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის N17 ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში დამამცირებელი მოპყრობისა და მოქალაქეობის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ, (2016), გვ. 3, <<http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3381.pdf>>

საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის კვალდაკვალ, საქართველოს მთავრობის დადგენილებაში შევიდა ცვლილება,⁷⁹ რომლითაც პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთათვის მოიხსნა საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის მოთხოვნა. შესაბამისად, მსჯავრდებულებს, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები, უკვე შეუძლიათ ისარგებლონ C ჰეპატიტის მკურნალობის სახელმწიფო პროგრამით. მე-17 დაწესებულების მთავარი ექიმის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მსჯავრდებული კ.ყ. 2016 წლის 5 მაისიდან ჩართული იქნა C ჰეპატიტის HARVONI სამკურნალო პროგრამაში.⁸⁰

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება რეკომენდაციაში მითითებული უფლების დარღვევის აღმოფხვრას არა მხოლოდ უშუალოდ განმცხადებლის, არამედ ყველა პოტენციური დაზარალებულის მიმართ.⁸¹

N17 დაწესებულებაში ინდივიდუალური გასაუბრების შედეგად მსჯავრდებულები ყურადღებას ამახვილებდნენ შემდეგ პრობლემებზე: სამედიცინო მომსახურების დაგვიანება, მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა, სპეციფიკურ საჭიროებებზე მორგებული სამედიცინო სერვისების არარსებობა.

ამას გარდა, N17 დაწესებულების ერთ-ერთ კორპუსში, სადაც სამედიცინო ბლოკია განთავსებული, ორი პირველადი ჯანდაცვის გუნდი ერთი და იმავე ოთახში მუშაობს და პაციენტებს პარალელურ რეჟიმში იღებს, რაც ეწინააღმდეგება სამედიცინო მომსახურების კონფიდენციალურობის პრინციპს და ქმნის მსჯავრდებულთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის რეალურ საფრთხეს. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულებისათვის სამედიცინო მომსახურების გაწევის პროცესში, უზრუნველყოფილი უნდა იქნას პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა და გამჟღავნებისაგან დაცვა.

5.3. ფსიქიკური ჯანმრთელობა და სუიციდის პრევენცია

N17 დაწესებულების დებულების მიხედვით სოციალური განყოფილების ფუნქციებში შედის: სუიციდის რისკის მქონე მსჯავრდებულთა გამოვლენა და მათთვის ფსიქოსოციალური დახმარების გაწევაში სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტისათვის ხელშეწყობა, აგრეთვე, მსჯავრდებულთა სუიციდის რისკის შესამცირებლად,

⁷⁹ საუბარია „C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №169 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 მაისის №208 დადგენილებაზე.

⁸⁰ მე-17 დაწესებულების მთავარი ექიმის წერილი NMOC 1 1600396913 (13.05.2016).

⁸¹ იხ. პრეს-რელიზი შემდეგ ბმულზე: <<http://www.ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-sasdjelagsrulebisa-da-probaciis-saministrom-saxalxo-damcvelis-rekomendacia-gaiziara.page>>

დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილებისათვის სუიციდის რისკის არსებობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.⁸²

აღსანიშნავია, რომ, ზოგადად, სუიციდის საფრთხე ყველაზე მაღალია რისკფაქტორიან მსჯავრდებულებს, მათ შორის, ფსიქიკური პრობლემების მქონე მსჯავრდებულებს შორის,⁸³ რაც გამოწვეულია სხვადასხვა ფსიქოსოციალური მიზეზით, მათ შორის ბულინგით, მსჯავრდებულთა შორის კონფლიქტით, დისციპლინური სანქციების შიშით და ა.შ. დაწესებულების სამედიცინო პერსონალის განმარტებით, N17 დაწესებულებაში ფსიქიკური ჯანმრთელობის სკრინინგის მოთხოვნას აყენებს პირველადი ჯანდაცვის გუნდის ექიმი და საჭიროების მიხედვით პაციენტი გადამისამართდება ფსიქოლოგთან ან ფსიქიატრთან. 2016 წლის იანვარ-აგვისტოს პერიოდში ფსიქიატრის კონსულტაცია ჩაუტარდა 520 მსჯავრდებულს. 2016 წლის 31 აგვისტოს მონაცემებით, ფსიქოტროპული მედიკამენტებით მკურნალობაზე იმყოფებოდა 47 მსჯავრდებული, თითოეული მათგანი ღებულობდა მედიკამენტებს ფსიქიატრის ან ნევროლოგის დანიშნულების მიხედვით. მედიკამენტების მიღება ხდება ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ვიდეოთვალთ ალქურვილ ოთახში.⁸⁴

საანგარიშო პერიოდში დაწესებულებაში ადგილი ჰქონდა სუიციდის ერთ და სუიციდის მცდელობის ერთი შემთხვევას. სახალხო დამცველის მიერ სუიციდის საქმის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მსჯავრდებულ ნ.ბ.-ს თვითმკვლელობის მიზეზი შესაძლოა ყოფილიყო მისთვის ფსიქოტროპული მედიკამენტებით არასწორი მკურნალობა, კერძოდ, ფსიქოტროპული ნივთიერებების მუდმივ მიწოდებას გარკვეული პერიოდის მანძილზე და შემდეგ მათი ერთბაშად მოხსნა.

მსჯავრდებულ ნ.ბ.-ს გარდაცვალებასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა 2016 წლის 19 სექტემბერს N15-11/11031 წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას, რადგან N17 დაწესებულებაში არსებული სამედიცინო და სხვა ტიპის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ ამავე დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან შესაძლოა ადგილი ჰქონდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების – სამსახურებრივი გულგრილობის ჩადენას. მთავარი პროკურატურიდან 2016 წლის 11 ოქტომბერს მიღებული N13/65056 პასუხის თანახმად, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში დაიწყო გამოძიება მსჯავრდებულ ნ.ბ.-ს თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე სისხლის სამართლის 115-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. ამასთან, აღნიშნულ საქმეზე გრძელდებოდა ყველა გარემოების სრულყოფილი შესწავლა და, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, გამოძიება გაგრძელდებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 342¹ მუხლის კვალიფიკაციით, რომლის

⁸² საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N17 პენიტენციური დაწესებულების დებულება, მუხ. 8(ტ).

⁸³ World Health Organization info note, გვ. 7, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.who.int/mental_health/prevention/suicide/resource_jails_prisons.pdf> [ბოლოს ნანახია 06.05.2016].

⁸⁴ N17 დაწესებულების მთავარი ექიმის პასუხი MOC 71600795457 (21.09.2016).

სუბიექტებსაც წარმოადგენენ სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის თანამშრომლები.⁸⁵

სახალხო დამცველის მიერ ზემოთმითითებული საქმის შესწავლისას კონკრეტული გარემოებები გამოიკვეთა, რომლებიც დაწესებულების სამედიცინო პერსონალის მხრიდან შესაძლო სამსახურებრივ გულგრილობას მიანიშნებენ. შესაბამისად, სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტის მიერ მოცემულ ფაქტზე გამომიების წარმოება ვერ უზრუნველყოფს საქმის დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ და ეფექტურ გამომიებას, ვინაიდან, ამ შემთხვევაში, საგამომიებო დეპარტამენტი არ არის ინსტიტუციურად დამოუკიდებელი საგამომიებო ორგანო.

N17 დაწესებულებაში მსჯავრდებულებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ მსჯავრდებულ გ.გ.-ს აქვს C ჰეპატიტი, ჩართული იყო პროგრამაში, გაიარა ინტენსიური მკურნალობა ინტერფერონის ჯგუფის მედიკამენტებით. ვიზიტის დროისათვის ლეზიონობა ფსიქოტროპულ მედიკამენტებს (თუმცა ვერ ასახელებდა, კონკრეტულად რა მედიკამენტს). მსჯავრდებული აღნიშნავდა, რომ ექიმის რეკომენდაციით საჭიროებდა ფსიქორეაბილიტაციას. იგი უჩიოდა სხვადასხვა ფსიქოემოციურ აშლილობებს. ჰქონდა შფოთვები და ძილთან დაკავშირებული პრობლემები, ხასიათდებოდა მცირე გამაღიზიანებელ ფაქტორზეც კი მაღალი მგრძობელობით და ჰქონდა სუიციდური აზრები. გ.გ.-ს განცხადებით, იგი შეგნებულად არ ითხოვდა აუცილებელი საჭიროების ნივთებს, როგორცაა ჯამი, კოვზი და ჩანგალი. ამგვარ ქმედებას იგი ხსნიდა დაწესებულების ადმინისტრაციისაგან პროვოცირების შიშით, რასაც შესაძლოა მოჰყოლოდა მისი გაღიზიანება და შედეგად მის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება, რაც ან სასჯელის დამატებით ან საპროცესო გარიგებით დასრულდებოდა. დაწესებულებაში ვიზიტის დროს ვერ დადგინდა, გარდა C ჰეპატიტის მედიკამენტური მკურნალობისა, რა სახის სამედიცინო თუ ფსიქოლოგიური დახმარება მიიღო მსჯავრდებულმა გ.გ.-მ ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, მიუხედავად მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა, ადამიანური ღირსებისათვის შესაფერისი მოპყრობა მოითხოვს განსაკუთრებულად მისადაგებულ ღონისძიებათა გატარებას იმ მსჯავრდებულის მიმართ, რომელსაც სერიოზული ფსიქიკური პრობლემები აქვს და, ამასთან, სუიციდის რისკის მატარებელია (მიუხედავად იმისა, რომ ეს რისკი არასოდეს ყოფილა რეალიზებული).⁸⁶

აღსანიშნავია, რომ N17 დაწესებულებაში სუიციდის პრევენციის პროგრამის ამოქმედების რეკომენდაციით სახალხო დამცველმა სასჯელადსრულების მინისტრს ჯერ კიდევ 2014 წელს

⁸⁵ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 7 ივლისის N34 ბრძანება „სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო და ტერიტორიული ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე“, მუხლი 8.

⁸⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *რივიერა საფრანგეთის წინააღმდეგ (Riviere v. France)*, პარ. 75.

მიმართა.⁸⁷ როგორც მონიტორინგის შედეგად დადგინდა, დაწესებულებაში სუიციდის პრევენციის პროგრამა 2015 წლის აპრილში დაიწყო და მასში ვიზიტის დროისათვის ჩართული იყო 4 მსჯავრდებული.⁸⁸ 2016 წელს პროგრამაში ჩართულ მსჯავრდებულთა რიცხვი 11-მდე გაიზარდა.⁸⁹ საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება სუიციდის პრევენციის პროგრამის ამოქმედებას. მომავალში სპეციალური პრევენციული ჯგუფის განსაკუთრებული შესწავლის საგანი პროგრამის ეფექტიანი განხორციელება იქნება.

რეკომენდაციები

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- ❖ უზრუნველყოფილ იქნეს N17 დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტში სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების მკაცრი დაცვა
- ❖ უზრუნველყოფილ იქნეს სასჯელაღსრულების N17 დაწესებულებაში ექიმებისა და ექთნების სათანადო რაოდენობა
- ❖ უზრუნველყოფილ იქნეს N17 დაწესებულებაში მსჯავრდებულთა დანიშნული მედიკამენტებით მომარაგება
- ❖ უზრუნველყოფილ იქნეს N17 დაწესებულებაში მსჯავრდებულთათვის სამედიცინო მომსახურების გაწევა კონფიდენციალურობის სრული დაცვით

საქართველოს მთავარ პროკურორს:

- ❖ უზრუნველყოს სწრაფი, ეფექტიანი და მიუკერძოებელი გამოძიების წარმოება მსჯავრდებულ ნ.ბ.-ს თვითმკვლელობამდე მიყვანის საქმეზე

6. კვება და სასმელი წყალი

6.1. სამზარეულო და სასადილო

ციხის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ყველა მსჯავრდებული ჯანმრთელობისათვის საჭირო კვებითი ღირებულების, კარგად მომზადებული და მიწოდებული საკვებით.⁹⁰

⁸⁷ იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში სასჯელაღსრულების N17 დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ, (2014), გვ. 19 <<http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3283.pdf>>

⁸⁸ N17 პენიტენციური დაწესებულების სამედიცინო პუნქტის მთავარი ექიმის 2015 წლის 17 დეკემბრის #MOC41501114035 წერილი, გვ. 4.

⁸⁹ N17 დაწესებულების მთავარი ექიმის პასუხი MOC 71600795457 (21.09.2016)

⁹⁰ გაერო-ს წესები მსჯავრდებულთა მინიმალური მოპყრობის სტანდარტების შესახებ (ნელსონ მანდელას წესები), წესი 22(1), ხელმისაწვდომია გაერო-ს ოფიციალურ ენებზე შემდეგ მისამართზე:

ტერმინი „კარგად მომზადებული და მიწოდებული“ გულისხმობს როგორც ჯეროვან ჰიგიენასა და საკვების მოსამზადებელი დანადგარების გამართულ მუშაობას, ასევე იმ სამუშაო გარემოს, სადაც საკვები მზადდება.⁹¹

მონიტორინგის დროს დადგინდა, რომ N17 დაწესებულებაში სამზარეულოსა და სასადილოს ინფრასტრუქტურა არაადაამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. განსაკუთრებით შემაშფოთებელია, რომ სამზარეულოში ჭურჭლის სარეცხი ნიჟარების ადგილი გამოყოფილი არ არის, რის გამოც ჭურჭელი თავსდება და ირეცხება იატაკზე კუსტარულად მოწყობილ ყუთის ფორმის რკინის კონსტრუქციაში. შესაბამისად სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები ჯეროვნად დაცული არ არის.

N17 დაწესებულების დებულების მიხედვით, ნახევრად ღია ნაწილში განთავსებული მსჯავრდებულები იკვებებიან დღის განრიგით დადგენილ საათებში სასადილოში,⁹² თუმცა ვიზიტის დროს გაირკვა, რომ სასადილო არ ფუნქციონირებს, ვინაიდან სასადილოში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა არაადაამაკმაყოფილებელია. აქედან გამომდინარე, დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულები საკვებს საკნებში იღებენ. საკვების ერთ-ერთი დამრიგებელი, რომელიც ყოველდღიურად დაახლოებით 250 მსჯავრდებულს ემსახურება, სანიტარული-ჰიგიენური ნორმების დაცვით ვერ უზრუნველყოფს საკვების დარიგებას, რადგან მიუხედავად იმისა, რომ დარიგების დროს ხელის მტევანი დაფარული ჰქონდა დამცავი ხელთათმანით, იმავე ხელებით ეხებოდა საკნის ღიობს და ურიკის სახელურს.

6.2. საკვების ხარისხი

ციხის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ყველა მსჯავრდებული ჯანმრთელობისათვის საჭირო კვებითი ღირებულების, კარგად მომზადებული და სასარგებლო საკვებით.⁹³ აღნიშნული წესი გულისხმობს ასევე სპეციალური კვებითი საჭიროების მსჯავრდებულებისათვის ინდივიდუალური დიეტური საკვების შეთავაზების ვალდებულებასაც.⁹⁴

<<http://www.penalreform.org/resource/standard-minimum-rules-treatment-prisoners-smr/>> [ბოლოს ნანახია 06.05.2016].

⁹¹ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის კვლევა „წყალი, სანიტარია და ჰიგიენა ციხეებში“, გვ. 94, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე:

<https://www.icrc.org/eng/assets/files/other/icrc_002_0823.pdf> [ბოლოს ნანახია 06.05.2016].

⁹² საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N17 პენიტენციური დაწესებულების დებულება, მუხ. 33(9).

⁹³ საკვებთან დაკავშირებით იხ. მანდელას წესები, წესი 22(1). ევროპული ციხის წესები, წესი 22.1-22.6. ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე

<<http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1163.pdf>>.

⁹⁴ იხ. მაგ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 1-ლი მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *იერონოვიჩის ლატვიის წინააღმდეგ (Jeronovičs v. Latvia)*, no. 547/02, ასევე აშშ-ს მესამე ოლქის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *ჯექსონი გორდონის წინააღმდეგ*, რომელშიც სასამართლომ დარღვევად მიიჩნია პენიტენციური დაწესებულების მიერ ლაქტოზაზე და კვერცხზე ალერგიული მსჯავრდებულისათვის სპეციალური თერაპიული დიეტური საკვების შეთავაზების უარყოფა.

ვიზიტის დროს შემოწმდა სასადილოს სარგებლობაში არსებული სამი სათავსო და ხილ-ბოსტნეულის მარაგი. დადგინდა, რომ პროდუქტები საკვებად ვარგისიანია (რასაც მოწმობს პროდუქტებზე მითითებული ვადები).

მენიუ სამი სახისაა: ძირითადი მენიუ, დიეტური მენიუ დიაბეტიანი მსჯავრდებულებისთვის და კიდევ ერთი სახის დიეტური მენიუ, რომელიც განკუთვნილია ღვიძლის დაავადებების მქონე მსჯავრდებულებისთვის. დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დიაბეტურ კვებაზე იმყოფება თვეში 600-მდე მსჯავრდებული, ხოლო ღვიძლის დაავადების მქონე მსჯავრდებულებისათვის განკუთვნილი სპეციალური დიეტური საკვები მიეწოდება თვეში 50 მსჯავრდებულს.⁹⁵

დღიურ რაციონში გათვალისწინებული საკვების ენერგეტიკული ღირებულება მენიუს ტიპების მიხედვით იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

დღიურ რაციონში შემაჯავალი ენერგეტიკული ღირებულება	
ძირითადი მენიუ	2325,8
სპეციალური დიეტა ექიმის დანიშნულებით მაგიდა N9 (დიაბეტური მენიუ)	2015,4
სპეციალური დიეტა ექიმის დანიშნულებით მაგიდა N5 (ღვიძლის დაავადებების მქონეთათვის)	2095,9

მსჯავრდებულებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათი უმრავლესობა იკვებება დაწესებულებაში არსებულ მაღაზიაში ნაყიდი საკვებით, რადგან აცხადებენ, რომ ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული საკვები არ არის საჭმელად ვარგისი. აღსანიშნავია, რომ მაღაზიაში საკვების შექმნა დაკავშირებულია გარკვეულ შეზღუდვებთან (მაგ. თვითური დანახარჯის ლიმიტი) და ხარჯებთან. მაღაზიაში შეძენილი საკვები მსჯავრდებულისთვის უნდა იყოს იმ ძირითადი საკვების დამატება, რომელიც მას ციხის ადმინისტრაციისაგან მიეწოდება. მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებაში არსებული ძირითადი თუ დიეტური მენიუები შეიცავდეს ისეთ კვებით რაციონს, რაც დააკმაყოფილებს ყველა მსჯავრდებულის ძირითად კვებით მოთხოვნილებებს მათი ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნის გარეშე.

⁹⁵ N17 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2016 წლის 13 იანვრის #MOC71600029097 წერილი, გვ.34.

N17 დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულები სპეციალური პრევენციული ჯგუფის წინა ვიზიტის⁹⁶ დროსაც გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას საკვებისა და სასმელი წყლის გემოსთან დაკავშირებით, რის გამოც სახალხო დამცველმა N17 დაწესებულების ვიზიტის შემდგომ ანგარიშში რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, პერიოდულად შემოწმებულიყო საკვები და წყალი.⁹⁷ მაშინ, როდესაც მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა მხრიდან არსებობს საკვების ხარისხთან დაკავშირებული პრეტენზიები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ საკვებმა გაიაროს სრულყოფილი შემოწმება. ამ მხრივ მისასალმებელია ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვების ნორმებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების განსაზღვრის შესახებ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებაში 2016 წლის 24 ივნისს შესული ცვლილება, რომლის მიხედვითაც, ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის გადასაცემი საკვები პროდუქტების ხარისხის შემოწმების მიზნით, კვების ბლოკის შესაბამისი თანამშრომელი ვალდებულია აიღოს სინჯი ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის გადასაცემი მიმდინარე დღის საკვებიდან. სინჯს ამოწმებს და ხელმოწერით ადასტურებს ექიმი/ექთანი. აღნიშნული სინჯი შენახულ უნდა იქნეს ადებიდან 48 საათის განმავლობაში.⁹⁸ სამომავლოდ სპეციალური პრევენციული ჯგუფის შესწავლის საგანი სწორედ აღნიშნული რეგულაციის პრაქტიკაში განხორციელება იქნება.

წამების საკითხებში გაერო-ს სპეციალური მომხსენებელი მიიჩნევს, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში კონტრაქტორი ფირმის მიერ კვების უზრუნველყოფა მოქმედ სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაშია,⁹⁹ თუმცა ციხის ადმინისტრაცია ვერ მოიხსნის პასუხისმგებლობას საკვების ხარისხზე, რადგან სწორედ მას აქვს მაკონტროლებელი ბერკეტები კონტრაქტორი ფირმის მიერ პროდუქტის ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობაზე. იგივე ითქმის N17 დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაზეც, რომელშიც მონიტორინგის დროს დარღვეული იყო ტემპერატურული რეჟიმი და მაღაზიაში

⁹⁶ N17 დაწესებულებაში სპეციალური პრევენციული ჯგუფის წინა ვიზიტი განხორციელდა 2014 წლის 1-2 დეკემბერს.

⁹⁷ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში სასჯელაღსრულების N17 დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ, (2014), გვ. 15 <<http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3283.pdf>>.

⁹⁸ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 24 ივნისის ერთობლივი ბრძანება №83/№01-22/5 „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვების ნორმებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 13 აგვისტოს №88-№01-34/5 ერთობლივ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, მუხ. 1(2-ა).

⁹⁹ წამების და სხვა სასტიკი, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის ან სასჯელის საკითხებში გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭოს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში საქართველოში ვიზიტის შესახებ, (2015), პარ. 98, ხელმისაწვდომია გაერო-ს ოფიციალურ ენებზე შემდეგ მისამართზე: <http://ap.ohchr.org/documents/dpage_e.aspx?si=A/HRC/31/57/Add.3> [ბოლოს ნანახია 06.05.2016].

არსებული პროდუქცია შეუსაბამო ტემპერატურულ პირობებში ინახებოდა.¹⁰⁰ ისეთ პირობებში, როდესაც მსჯავრდებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი მაღაზიაში შექმნილი პროდუქტებით იკვებება, ის სანიტარული მდგომარეობა, რაშიც მაღაზიის საკვები ინახება, შესაძლოა საფრთხის შემქმნელი იყოს მსჯავრდებულთა ჯანმრთელობისათვის.

მსჯავრდებულებს 24 საათიანი რეჟიმით მიეწოდებათ სასმელი წყალი, ხოლო შეფერხების შემთხვევაში – გრაფიკით, დამხმარე ავჯის საშუალებით. მსჯავრდებულები აღნიშნავენ, რომ სასმელ წყალს პერიოდულად აქვს სპეციფიკური გემო. აღნიშნული ჩივილები მსჯავრდებულებს 2014 წელს განხორციელებული ვიზიტის დროსაც ჰქონდათ.¹⁰¹ დაწესებულების ადმინისტრაციის ინფორმაციით, წყლის მოწოდება ხდება შპს „რუსთავის წყლის“ მიერ და მისი ხარისხი ადგილზე არ მოწმდება.¹⁰²

„პატიმრობის კოდექსის“¹⁰³ თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეუზღუდავი რაოდენობით უნდა ჰქონდეს სუფთა სასმელი წყალი. მსჯავრდებულთათვის ნებისმიერ დროს შეუზღუდავი რაოდენობის სასმელი წყლის მიღების უფლებას საერთაშორისო სტანდარტებიც¹⁰⁴ განამტკიცებს. აღნიშნული დებულებების მიზანია, ყველა მსჯავრდებული მისთვის სასურველ ნებისმიერ დროს, თუკი ამის საჭიროება ექნება, უზრუნველყოფილ იქნეს სასმელი წყლით. ციხის ადმინისტრაცია ვალდებულია მსჯავრდებულის ყოველი ასეთი მოთხოვნა დააკმაყოფილოს.

სახალხო დამცველი ხაზს უსვამს პენიტენციურ დაწესებულებებში სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ საკვების რეგულარული შემოწმების მნიშვნელობას. სწორედ აღნიშნული სააგენტოა სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარული და ფიტოსანიტარულ კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანო, შესაბამისად აუცილებელია სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ რეგულარულად განხორციელდეს პენიტენციური დაწესებულებების სასადილოების შემოწმება, ამასთან შემოწმების შედეგები ცნობილი უნდა გახდეს საზოგადოებისთვის. ანგარიშის მომზადების დროს მოქმედი რეგულაციით, სურსათის ეროვნულ სააგენტოს პენიტენციურ დაწესებულებებში ვიზიტის განხორციელებისთვის ესაჭიროება სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ნებართვა. შესაბამისად, დაწესებულებაში ვიზიტი ხორციელდება სამინისტროს წინასწარი ინფორმირების შემდეგ. საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ პენიტენციური დაწესებულებების სასადილოების შემოწმების პრაქტიკას, თუმცა ხაზს უსვამს, რომ დაწესებულებაში არსებული რეალური სურსათის მისაღებად, შემოწმება უნდა განხორციელდეს მოულოდნელად, წინასწარი შეტყობინების

¹⁰⁰ ამ საკითხებს არეგულირებს განსაკუთრებით მაღალუჭვადი პროდუქტების შენახვის პირობებისა და ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N303/ნ ბრძანება.

¹⁰¹ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში სასჯელადსრულების N17 დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ, (2014), გვ. 15 <<http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3283.pdf>>.

¹⁰² N17 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2016 წლის 13 იანვრის #MOC71600029097 წერილი, გვ. 9.

¹⁰³ საქართველოს კანონი პატიმრობის კოდექსი, მუხ. 23(7).

¹⁰⁴ ნელსონ მანდელას წესები, წესი 22(2), ევროპული ციხის წესები, წესი.25.5.

გარეშე, ხოლო შემოწმების შედეგები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებულ მხარისთვის.

6.3. სპეციალური კვებითი საჭიროებების მქონე მსჯავრდებულთა კვება

ციხის საკვები ჯანმრთელობისათვის ადეკვატური უნდა იყოს. საკვების შერჩევასა უნდა მოხდეს მსჯავრდებულთა რელიგიური მრწამსის გათვალისწინება. საკვები ასევე უნდა შეესაბამებოდეს მსჯავრდებულთა სამედიცინო საჭიროებებს.

N17 პენიტენციური დაწესებულების დებულების მიხედვით, კვების რაციონის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება მსჯავრდებულთა ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, რელიგიური კუთვნილება, კულტურული თავისებურებები და ფიზიკური დატვირთვა.¹⁰⁵ თავის მხრივ, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვების ნორმებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების განსაზღვრის შესახებ ბრძანება განსაზღვრავს ულუფის სასურსათო ნორმებს,¹⁰⁶ რომელიც ითვალისწინებს განსხვავებულ ნორმებს სპეციალური სამედიცინო საჭიროების მქონე მსჯავრდებულთათვის, მათ შორის, ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთათვის, შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის, კუჭ-ნაწლავის და ღვიძლის დაავადების მქონე პირთათვის, სტაციონარულ მკურნალობაზე მყოფ პოსტოპერაციულ პირთათვის.¹⁰⁷ ამასთანავე, ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ დიეტას ექიმის დანიშნულების შესაბამისად, შეიძლება შეეცვალოთ ერთი სახის პროდუქტი მეორეთი ისე, რომ შენარჩუნებულ იქნეს საკვების ზემოაღნიშნული ნორმებით გათვალისწინებული კვებითი ღირებულება.¹⁰⁸

პრაქტიკაში, დაწესებულების ადმინისტრაცია მხედველობაში ნაკლებად იღებს მსჯავრდებულთა რელიგიურ კუთვნილებასა და კულტურულ თავისებურებებს. ვიზიტის დროს მსჯავრდებულები ჩიოდნენ, რომ საკვების შერჩევის დროს ადმინისტრაცია არ ითვალისწინებს მათ რელიგიურ შეხედულებებს; სამარხვო საჭმელი ყოველდღე არ მზადდება და მარხვაზე მყოფი მსჯავრდებულები გარკვეულ დღეებში მხოლოდ პურზე და წყალზე არიან. თუმცა დაწესებულების ადმინისტრაციისაგან მიღებული ინფორმაციით, მარხვის პერიოდში, მსჯავრდებულთა მოთხოვნის შემთხვევაში მზადდება სამარხვო კერძები.¹⁰⁹ ვიზიტის დროს დაწესებულებაში იმყოფებოდა 35 უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელთათვისაც სპეციფიკურ კულტურულ თავისებურებებზე მორგებული საკვების შეთავაზება არ ხდებოდა.

¹⁰⁵ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N17 პენიტენციური დაწესებულების დებულება, მუხ. 33(2).

¹⁰⁶ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვების ნორმებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების განსაზღვრის შესახებ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 13 აგვისტოს №88-№01-34/ნ ერთობლივი ბრძანება, მუხ. 13.

¹⁰⁷ იქვე, მუხ. 13(1)(გ-ლ).

¹⁰⁸ იქვე, მუხლის შენიშვნა.

¹⁰⁹ N17 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის წერილი MOC 516 00691423 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N3-4/8674), კითხვა 31.

ევროპული ციხის წესების მიხედვით მსჯავრდებულები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ სათანადო საკვებით მათი [...] რელიგიის გათვალისწინებით,¹¹⁰ რაც პირდაპირ კავშირშია მსჯავრდებულთა რელიგიის თავისუფლებასთან. რელიგიის თავისუფლება *inter alia* მოიცავს რელიგიური წესების აღსრულებასაც.¹¹¹ სახელმწიფოს არ აქვს უფლება, შეაფასოს პირის რელიგიური მრწამსის ლეგიტიმურობა ან ის მეთოდი, რითაც ეს პირი გამოხატავს რელიგიურ გრძნობებს.¹¹² აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის მიერ 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში გაცემული რეკომენდაციის მიუხედავად, როგორც N17, ასევე სხვა დაწესებულებებში საკვების მომზადებისას არ არის გათვალისწინებული სხვადასხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენელთა საჭიროებები, რის გამოც ისინი ხშირად უარს აცხადებენ შეთავაზებული საკვების მიღებაზე. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ მენიუს შედგენის დროს რელიგიური თავისებურებები გათვალისწინებული იყოს.

ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი ყველა მსჯავრდებული თანაბრად უნდა სარგებლობდეს რელიგიური საკვების მიღების უფლებით.¹¹³ შესაბამისად, N17 დაწესებულებაში მყოფი ყველა მსჯავრდებულისათვის, განურჩევლად მისი რელიგიური კუთვნილებისა თუ კულტურული იდენტობისა, მათი მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში თანაბრად უნდა იყოს ხელმისაწვდომი წელიწადის შესაბამის პერიოდში რელიგიური თავისებურების საკვები.¹¹⁴

დაწესებულებისაგან მიღებული ინფორმაციით, რელიგიურ დღესასწაულებზე, გამონაკლისის სახით, დაიშვება საკვები პროდუქტები, კერძოდ, მართლმადიდებელ მსჯავრდებულთათვის აღდგომის და მარიამობის დღესასწაულზე, ხოლო მუსლიმი

¹¹⁰ ევროპული ციხის წესები, წესი, 22.1.

¹¹¹ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხ. 9(1).

¹¹² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2002 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *ბესარაბიის მიტროპოლიის ეკლესია და სხვები მოლდოვას წინააღმდეგ (Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova)*, პარ. 117.

¹¹³ იხ. მაგ. კანზასის შტატის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე *ჯონსონი სიმონის წინააღმდეგ*, რომელშიც სასამართლომ დაადგინა რომ მუსლიმ მსჯავრდებულის მიერ „ჰალალი“ საკვების მოთხოვნის უგულვებელყოფა, მაშინ როდესაც იმავე ციხეში ებრაელი მსჯავრდებულისათვის უზრუნველყოფილი იყო „ქომერი“ საკვები, არღვევდა თანასწორობის პრინციპს. იხ. *Johnson v. Simmons*, 338 F. Supp. 2d 1241 (D. Kan. 2004) U.S. District Court for the District of Kansas - 338 F. Supp. 2d 1241 (D. Kan. 2004) August 19, 2004.

¹¹⁴ აღსანიშნავია, როდესაც რომელიმე მსჯავრდებულის რელიგია, კონკრეტულ პერიოდში არ ითვალისწინებს სპეციალური საკვების მიღებას, ხოლო მსჯავრდებული მაინც ითხოვს ამგვარ საკვებს, მას შეიძლება უარი ეთქვას ამგვარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. იხ. მაგ. მონტანას შტატის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება *კაპე ქროსროუდის სასჯელაღსრულების ცენტრის წინააღმდეგ*, რომელშიც სასამართლომ არ დაადგინა რელიგიის თავისუფლების დარღვევა იმ კათოლიკე მსჯავრდებულის მიმართ, რომელიც ითხოვდა მარხვის კონკრეტულ დღეებში თევზის მიღებას, როდესაც რომაულ-კათოლიკური რელიგია ამგვარ მოთხოვნას არ იცნობდა. იხ. *Supreme Court of Montana, Donald S. CAPE, Plaintiff and Appellant, v. CROSSROADS CORRECTIONAL CENTER, Corrections Corporation of America, Warden Jim MacDonald, Assistant Warden William Boothe, Best Foods Inc., and Tim Hawk, Defendants and Respondents*. No. 03-172. September 21, 2004. პარ. 13-22.

მსჯავრდებულთათვის კი ბაირამობის დღესასწაულზე.¹¹⁵ თუმცა აღნიშნული საკვები განკუთვნილია არა იმდენად რელიგიური წეს-ჩვეულებების დასაცავად, რამდენადაც კონკრეტული დღესასწაულების აღსანიშნავად.

მსჯავრდებულების მიერ რელიგიური თავისებურების საკვების მიღების ალტერნატიული გზა შეიძლება იყოს დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მაღაზია, თუმცა ვიზიტის დროს მსჯავრდებულები ჩიოდნენ, რომ მაღაზიაში სამარხვო პროდუქტები არ შემოდიოდა. აქვე აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულის მიერ რელიგიის თავისუფლების უფლებით სარგებლობა, რაც გამოიხატება მის მიერ სპეციფიკური საკვების მიღებაში, არ უნდა იყოს შესაძლებელი მხოლოდ საკუთარი ხარჯებით – სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მსჯავრდებული რელიგიური თავისებურების საკვებით ისე, რომ მას არ გადაახდევინოს ამისათვის რაიმე საფასური.¹¹⁶ რაც შეეხება დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში გასაყიდ პროდუქტებს, ეს არ უნდა იყოს მსჯავრდებულისათვის მის რწმენასთან შესაბამისი საკვების მიღების ერთადერთი გზა, არამედ იმ ძირითადი საკვების დამატება, რაც მას ციხის ადმინისტრაციამ უნდა მიაწოდოს. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მაღაზიით სარგებლობა რეგულირდება გარკვეული პროცედურული წესებით და ამ უფლების შეზღუდვა დაშვებულია, როგორც დისციპლინური სახდელის ერთ-ერთი ფორმა.¹¹⁷

რეკომენდაციები

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- ❖ უზრუნველყოფილ იქნეს სამზარეულოსა და სასადილოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების სრული დაცვა
- ❖ განხორციელდეს საკვები პროდუქტებისა და სასმელი წყლის სათანადო რეგულარული შემოწმება დაწესებულების სამედიცინო-საექიმო პუნქტის მიერ
- ❖ საავარიო შემთხვევებში უზრუნველყოფილ იქნეს დაწესებულების სასმელი წყლით

¹¹⁵ N17 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის წერილი MOC 516 00691423 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N3-4/8674), კითხვა 32.

¹¹⁶ იხ. აშშ-ის მეათე ოლქის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *ბერიედე სუტერსის წინააღმდეგ*, რომელშიც სასამართლომ დაადგინა, რომ ორთოდოქს ებრაელ მსჯავრდებულებს უფლება ჰქონდათ „ქოშერული“ წესით მომზადებული საკვები მიეღოთ სრულიად უფასოდ და სასჯელაღსრულების დაწესებულების მიერ შეთავაზებული 25%-იანი თანადაფინანსება უკანონო იყო. იხ. United States Court of Appeals, Tenth Circuit, *Charles E. BEERHEIDE, Sheldon Perlman, and Allen Isaac Fistell, Plaintiffs-Appellees, v. John W. SUTHERS, Executive Director, Colorado Department of Corrections; Gerald M. Gasko, Acting Deputy Director, Colorado Department of Corrections; Dona Zavislan, Food Service Administration, Colorado Department of Corrections; Lee Hendrix, Volunteer Service Administrator, Colorado Department of Corrections; and Does 1 Through 10, Defendants-Appellants*. No. 00-1086. April 11, 2002

¹¹⁷ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N17 პენიტენციური დაწესებულების დებულება, მუხ. 76(1-კ). იხ. ასევე საქართველოს კანონი პატიმრობის კოდექსი, მუხ. 82(1-კ).

შეუზღუდავად მომარაგება

- ❖ დაწესებულების ყველა მსჯავრდებული, მათი მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იყოს რელიგიური შეხედულებებთან შესაბამისი საკვებით დამატებითი ანაზღაურების გარეშე
- ❖ დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მაღაზიის საკვებით მომარაგებისას გათვალისწინებულ იქნეს მსჯავრდებულთა რელიგიური შეხედულებები

სურსათის ეროვნულ სააგენტოს:

- ❖ რეგულარულად, წინასწარი შეტყობინების გარეშე განხორციელდეს N17 პენიტენციური დაწესებულების სასადილოსა და წყლის ხარისხის შემოწმება, ხოლო შემოწმების შედეგები ხელმისაწვდომი გახდეს ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

7. რეჟიმი, დისციპლინური პასუხისმგებლობა, წახალისება

პენიტენციური დაწესებულებაში არსებული რეჟიმი და დისციპლინა უნდა შენარჩუნდეს იმ შეზღუდვების ფარგლებში, რაც საჭიროა ციხეში წესრიგის, უსაფრთხოებისა და მსჯავრდებულთა მოწესრიგებული თანაცხოვრების უზრუნველსაყოფად.¹¹⁸ დისციპლინური სახდელი გამოყენებულ უნდა იქნეს, როგორც უკიდურესი საშუალება¹¹⁹ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამოწურულია დავის მოგვარების სხვა ალტერნატიული გზები, მაგ. როგორებიცაა კონფლიქტის პრევენცია, მედიაცია და სხვა.¹²⁰ იმ შემთხვევაში, თუკი მაინც მოხდება დისციპლინური სახდელის დაკისრება, ამგვარი სახდელი ჩადენილი გადაცდომის პროპორციული უნდა იყოს.¹²¹ მსჯავრდებულს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია არა მხოლოდ დაკისრებული სახდელის ფორმის შესახებ, არამედ მას უნდა მიეცეს სახდელის დაკისრების გადაწყვეტილების სადავოდ გახდის შესაძლებლობა შესაბამისი დისციპლინური ორგანოს წინაშე.¹²²

¹¹⁸ ნელსონ მანდელას წესები, წესი 36.

¹¹⁹ ევროპული ციხის წესები, წესი 56.1.

¹²⁰ ნელსონ მანდელას წესები, წესი 38(1).

¹²¹ ევროპული ციხის წესები, წესი 60.2.

¹²² წამების და სხვა სასტიკი, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის ან სასჯელის საკითხებში გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭოს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში საქართველოში ვიზიტის შესახებ, (2015), პარ. 88, ხელმისაწვდომია გაერო-ს ოფიციალურ ენებზე შემდეგ მისამართზე: <http://ap.ohchr.org/documents/dpage_e.aspx?si=A/HRC/31/57/Add.3> [ბოლოს ნანახია 06.05.2016].

მსჯავრდებულთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების რეჟიმი მსჯავრდებულთა მიმართ კეთილგანწყობილი უნდა იყოს.¹²³ ვიზიტის დროს მსჯავრდებულები აღნიშნავენ, რომ ადმინისტრაციის დამოკიდებულება მათდამი ფიზიკური ძალადობის სახეს არ ატარებს, თუმცა ემოციურად დამთრგუნველია. გამოკითხული მსჯავრდებულების განცხადებით, ფიზიკური ძალადობა ჩანაცვლებულია ემოციური ძალადობით, რაც მსჯავრდებულებში თესავს სასჯელის დამატების, აკრძალული ნივთების ჩადების, სპეცრაზმის შემოსვლისა და სხვა მსგავს შიშებს. ზოგიერთი მსჯავრდებულის განცხადებით, ადმინისტრაციის თანამშრომლები მათ უხეშად და გამოძწევად ელაპარაკებიან, რაც მსჯავრდებულების გაღიზიანებას იწვევს.

გაერო-ს სპეციალური მომხსენებელი გამოთქვამს წუხილს სასჯელის დამატების პრაქტიკასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულ პირებს აქვთ მათი პატიმრობის ვადის დასრულების მოლოდინის უფლება.¹²⁴ სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა შეისწავლა N17 დაწესებულებაში მსჯავრდებულების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე წარმოებული სისხლის სამართლის საქმეთა სია 2015 წლის მონაცემებით.¹²⁵ სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტის მიერ მიღებული ინფორმაციით დგინდება, რომ 2015 წლის განმავლობაში მსჯავრდებულთა მიერ დანაშაულის ჩადენის სავარაუდო ფაქტზე სისხლის სამართლებრივი გამოძიება დაიწყო 54 შემთხვევაში 77 მსჯავრდებულის წინააღმდეგ. უმეტეს შემთხვევაში საქმე აღძრულია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული პირის მიერ აკრძალული საგნის შენახვა/სარგებლობის მუხლით. აღნიშნული 54 შემთხვევიდან, შემოწმების დროისათვის განაჩენი დამდგარი იყო 42 შემთხვევაზე.

ზემოაღნიშნულ საქმეთა შესწავლის შედეგად, სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა გამოავლინა 7 შემთხვევა, როდესაც პირს სასჯელი დაემატა, როცა თავდაპირველად განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთის ვადის გასვლამდე დარჩენილი ჰქონდა 1 წელზე ნაკლები დრო. მათგან 3 პირს დამატებითი მსჯავრი დაედო წამებისათვის, ხოლო დანარჩენ 4-ს აკრძალული საგნის შენახვა/სარგებლობისათვის. სახალხო დამცველის აზრით, აღნიშნული რაოდენობა არაა საკმარისი ვივარაუდოთ, რომ N17 დაწესებულებაში სასჯელის დამატების პრაქტიკა სისტემატიურ ხასიათს ატარებს და რომ აღნიშნულ „მექანიზმს“ დაწესებულების ადმინისტრაცია მიმართავს მსჯავრდებულთა „დასასჯელად“ და დაწესებულებაში დასატოვებლად.

¹²³ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, გვ. 24, პუნქტი 47, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: <<http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-standards.pdf>> [ბოლოს ნანახია 06.05.2016].

¹²⁴ წამების და სხვა სასტიკი, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის ან სასჯელის საკითხებში გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭოს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში საქართველოში ვიზიტის შესახებ, (2015), პარ. 90, ხელმისაწვდომია გაერო-ს ოფიციალურ ენებზე შემდეგ მისამართზე: <http://ap.ohchr.org/documents/dpage_e.aspx?si=A/HRC/31/57/Add.3> [ბოლოს ნანახია 06.05.2016].

¹²⁵ საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის 02.08.2016 წ-ის წერილი MOC 61600670102.

დაწესებულებისაგან მიღებული ინფორმაციით, 2016 წლის განმავლობაში მსჯავრდებულების მიერ სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულის ფაქტებზე სასჯელადსრულების და პრობაციის სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტში გადაიგზავნა 18 შეტყობინება. მათგან 16 ფაქტზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სსკ-ის 378²-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული პირის მიერ აკრძალული საგნის შენახვა), ხოლო ორ ფაქტზე საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლით (ცემა).

N17 დაწესებულებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე,¹²⁶ საანგარიშო პერიოდში მსჯავრდებულთა მიმართ შემდეგი სახისა და რაოდენობის დისციპლინური ზომები იყო გამოყენებული:

დაწესებულება	მსჯავრდებულთა საშუალო რაოდენობა წლის მანძილზე		სამართლო საკანში მოთავსება		სხვა სახდელები		სულ	
	2015 წელი	2016 წელი	2015 წელი	2016 წელი	2015 წელი	2016 წელი	2015 წელი	2016 წელი
N17	1 949	1 922	126	60	65	43	191	103

როგორც აღნიშნული სტატისტიკიდან იკვეთება, საანგარიშო პერიოდის 2015 წლის მონაკვეთში შეინიშნება სამართლო საკანში მოთავსების, როგორც დისციპლინური ზომის გამოყენების მზარდი ტენდენცია წინა საანგარიშო პერიოდთან (2014 წელი) შედარებით,¹²⁷ რომელიც შემდგომ მონაკვეთში (2016 წელი) თითქმის ორჯერ იკლებს. სახალხო დამცველი გამოთქვამს იმედს, რომ N17 დაწესებულებაში დისციპლინური სახდელების დაკისრების კლების ტენდენცია მომავალშიც შენარჩუნდება.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი მიიჩნევს, რომ სამართლო საკანში მოთავსება დისციპლინური სახდელის სახით გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებში, როგორც უკიდურესი ღონისძიება და რაც შეიძლება მცირე ვადით. კომიტეტი მიიჩნევს, რომ სამართლო საკანში მოთავსების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კონკრეტული გადაცდომისათვის 14 დღეს და სასურველია უფრო ნაკლებიც იყოს.¹²⁸

საანგარიშო პერიოდში დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით სამართლო საკანში მოთავსება გამოყენებული იყო უმეტესად 3-დან 14 დღის პერიოდით. თუმცა, 2015 წლის 1

¹²⁶ N17 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2016 წლის 13 იანვრის #MOC71600029097 წერილი. ასევე N17 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის წერილი MOC 516 00691423 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N3-4/8674).

¹²⁷ 2014 წელს დაფიქსირდა სამართლო საკანში მოთავსების 74 შემთხვევა.

¹²⁸ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, გვ. 56, პუნქტი 48-49, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: <<http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-standards.pdf>> [ბოლოს ნანახია 06.05.2016].

ივლისამდე,¹²⁹ რამდენიმე შემთხვევაში, მსჯავრდებულები სამართლო საკანში 15 და 20 დღითაც მოათავსეს.

აქვე აღსანიშნავია, რომ დისციპლინური სახდელის დაკისრების არცერთი გადაწყვეტილება მსჯავრდებულებს არ გაუსაჩივრებიათ¹³⁰ შესაბამისი პროცედურებით.¹³¹ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი თავის სტანდარტებში ხაზს უსვამს, რომ მსჯავრდებულს წერილობით უნდა ეცნობოს მის წინააღმდეგ გამოყენებული სახდელის მიზეზების შესახებ, მას უნდა მიეცეს თავისი აზრის გამოხატვისა და მის წინააღმდეგ გამოყენებული ღონისძიების სათანადო უწყებაში გასაჩივრების შესაძლებლობა.¹³²

პატიმრობის კოდექსი,¹³³ ისევე, როგორც N17 დაწესებულების დებულება,¹³⁴ არ ითვალისწინებს მსჯავრდებულის ჯეროვან მონაწილეობას დისციპლინურ სამართალწარმოებაში. დაწესებულების დებულების თანახმად, დისციპლინური დარღვევის საქმეს ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს დაწესებულების დირექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი. გამონაკლის შემთხვევაში, თუ საქმის ზეპირი მოსმენით იხილება, მსჯავრდებულის ჩართულობა გამოიხატება მისთვის მხოლოდ დაჯდომისა და ჩანაწერების გაკეთების უფლების მინიჭებაში.¹³⁵

გარდა ამისა, მსჯავრდებულთა მიერ დისციპლინური სახდელის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარის თქმის აბსოლუტური მაჩვენებელი ბადებს საფუძვლიან ეჭვს, რომ N17 დაწესებულებაში არსებული დამაბული ფსიქოლოგიური ფონი დამთრგუნველად მოქმედებს მსჯავრდებულებზე და იწვევს მათში უიმედობის განცდას, რომ ნებისმიერი საჩივარი წარუმატებელი იქნება. შესაბამისად, მსჯავრდებულები არც კი ცდილობენ, ისარგებლონ გასაჩივრების უფლებით. ასეთი ტენდენცია კი, თავის მხრივ, ზრდის ადმინისტრაციის მხრიდან თვითნებობის რისკს.

N17 დაწესებულების დებულების თანახმად, მსჯავრდებულის მიერ სანიმუშო ყოფაქცევის ან/და საქმიანობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების შემთხვევაში დაწესებულების დირექტორი უფლებამოსილია დაწესებულების მსჯავრდებულის მიმართ

¹²⁹ ამ დღეს ამოქმედდა „პატიმრობის კოდექსის“ ცვლილება, რომლის მიხედვითაც სამართლო საკანში მოთავსების მაქსიმალურ ვადად განისაზღვრა 14 დღე.

¹³⁰ N17 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2016 წლის 13 იანვრის #MOC71600029097 წერილი, გვ. 27. ასევე N17 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის წერილი MOC 516 00691423 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N3-4/8674) კითხვა 39.

¹³¹ N17 დაწესებულების დებულების 79(1) მუხლის თანახმად მსჯავრდებულს უფლება აქვს, დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულების გადაცემიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ერთჯერადად გასაჩივროს სასამართლოში მის მიმართ გამოყენებული დისციპლინური სახდელი.

¹³² წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, გვ. 27-28, პუნქტი 55, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: <<http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-standards.pdf>> [ბოლოს ნანახია 06.05.2016].

¹³³ საქართველოს კანონი პატიმრობის კოდექსი, მუხ. 84.

¹³⁴ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N17 პენიტენციური დაწესებულების დებულება, მუხ. 77.

¹³⁵ იქვე, მუხ. 77(6).

გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება; დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა; დამატებითი ხანმოკლე პაემანი; დაწესებულის გარეთ დამატებითი ხანმოკლე გასვლა; პირადი ტელევიზორით ან რადიომიმღებით სარგებლობა; დამატებითი ხანგრძლივი პაემანი; დამატებითი სატელეფონო საუბარი; დამატებითი ვიდეოპაემანი; დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით, დეპარტამენტის დირექტორის თანხმობით საგამონაკლისო ხანმოკლე პაემნის უფლების მიცემა; დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით, დეპარტამენტის დირექტორის თანხმობით დებულებით გაუთვალისწინებელ პირთან ხანმოკლე პაემნის უფლების მიცემა.¹³⁶

დაწესებულებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად,¹³⁷ საანგარიშო პერიოდში N17 დაწესებულებაში გამოყენებული იყო შემდეგი სახის და რაოდენობის წახალისების ღონისძიებები:

თვეები	მადლობის გამოცხადება	დამატებით ხანგრძლივი პაემნით სარგებლობა	დამატებით ხანმოკლე პაემნით სარგებლობა	დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა
იანვარი (2015)	0	12	5	0
თებერვალი (2015)	0	18	7	2
მარტი (2015)	1	45	12	18
აპრილი (2015)	0	32	2	10
მაისი (2015)	7	37	6	3
ივნისი (2015)	1	20	4	2
ივლისი (2015)	5	31	5	5
აგვისტო (2015)	0	23	10	1
სექტემბერი (2015)	1	32	11	7
ოქტომბერი (2015)	0	28	12	2

¹³⁶ იქვე, მუხ. 74(1).

¹³⁷ N17 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2016 წლის 13 იანვრის #MOC71600029097 წერილი, გვ. 16.

ნოემბერი (2015)	0	13	6	4
დეკემბერი (2015)	4	11	6	1
იანვარი (2016)	0	13	9	0
თებერვალი (2016)	0	17	8	1
მარტი (2016)	0	17	10	4
აპრილი (2016)	0	16	10	4
მაისი (2016)	1	16	4	1
ივნისი (2016)	0	18	8	1
ივლისი (2016)	0	16	10	0
აგვისტო (2016)	0	18	8	0
სულ: 672	20	433	153	66

ასევე, N17 პენიტენციურ დაწესებულებაში 2015 და 2016 წელს მსჯავრდებულთა წახალისების შესახებ ზოგადი სტატისტიკური მონაცემები იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

პენიტენციური დაწესებულებები	2015 წელს წახალისების შემთხვევები	2016 წელს წახალისების შემთხვევები	2015 წელს სარეაბილიტაციო აქტივობებში მონაწილეობის გამო წახალისების შემთხვევები	2016 წელს სარეაბილიტაციო აქტივობებში მონაწილეობის გამო წახალისების შემთხვევები
N17	462	292	0	0

აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ N17 დაწესებულების დირექტორი აქტიურად იყენებს პატიმრობის კოდექსით და დაწესებულების დებულებით მისთვის მინიჭებულ დისკრეციულ უფლებამოსილებას. ზემოაღნიშნულ პერიოდში წახალისების 672 შემთხვევიდან უმრავლეს შემთხვევაში (433 შემთხვევა) მსჯავრდებულები წახალისდნენ დამატებითი ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლებით, რაც მისასაღმებელია.

აღნიშნული ტენდენცია N17 დაწესებულებაში შეინიშნებოდა სპეციალური პრევენციული ჯგუფის წინა ვიზიტის დროსაც, რაც დადებითად შეაფასა სახალხო დამცველმა.¹³⁸

რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- ❖ მოხდეს N17 დაწესებულებაში სავარაუდო ფსიქოლოგიური ზეწოლის/ძალადობის ფაქტებზე სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება გენერალური ინსპექციის მიერ

8. კონტაქტი გარე სამყაროსთან

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტების¹³⁹ მიხედვით, თავისუფლებადაკვეთილი პირებისათვის მნიშვნელოვანია გარე სამყაროსთან ზომიერად მყარი კავშირის შენარჩუნება. უპირველეს ყოვლისა, მსჯავრდებულს უნდა მიეცეს შესაძლებლობა შეინარჩუნოს კავშირი ოჯახთან და ახლო მეგობრებთან. სახელმძღვანელო პრინციპად უნდა იქცეს გარე სამყაროსთან კავშირის ხელშეწყობა. მანდელას წესების¹⁴⁰ თანახმად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მსჯავრდებულსა და მის ოჯახს შორის კავშირების შენარჩუნებას და განმტკიცებას, რაც ემსახურება ორივე მხარის ინტერესებს.

სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს N17 დაწესებულებაში გარე სამყაროსთან ურთიერთობის კუთხით რაიმე არსებითი პრობლემა არ გამოუვლენია. მსჯავრდებულებს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში შეუძლიათ გარე სამყაროსთან კონტაქტი.

8.1. ხანმოკლე პაემანი

N17 დაწესებულებაში ხანმოკლე პაემნის ორი ოთახი ფუნქციონირებს, აქედან ერთ-ერთი 12, ხოლო მეორე 19 ადგილიანი. განყოფილებაში მოქალაქეთა შემოსასვლელი არ არის შშმ პირებისთვის ადაპტირებული. მონიტორინგის დროს დადგინდა, რომ პაემნების განყოფილება უზრუნველყოფილია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათებით, ასევე ცენტრალური გათბობით. პაემნების ოთახში ვენტილაცია მხოლოდ ბუნებრივია და სივრცე ნიავედება ფანჯრის გამოღებით. ხანმოკლე პაემნების ოთახში არ ხორციელდება ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა.

¹³⁸ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში სასჯელაღსრულების N17 დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ, (2014), გვ. 21 <<http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3283.pdf>>.

¹³⁹ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, გვ. 25, პუნქტი 51, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: <<http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-standards.pdf>> [ბოლოს ნანახია 06.05.2016].

¹⁴⁰ ნელსონ მანდელას წესები, წესი 106.

2015 წელს N17 დაწესებულებაში განხორციელდა 15939 ხანმოკლე პაემანი. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში დაწესებულებაში დისციპლინური სახდელის სახით ხანმოკლე პაემნის შეზღუდვა არ გამოყენებულა, ამასთან, ხანმოკლე პაემნით წახალისების 153 შემთხვევა დაფიქსირდა.

მსჯავრდებულთა მიერ 2015 წლის განმავლობაში ხანმოკლე პაემნით სარგებლობის მონაცემები თვეების მიხედვით მოცემულია ქვემოთ, ცხრილში.

თვეები	ხანმოკლე პაემანი
იანვარი (2015)	790
თებერვალი (2015)	776
მარტი (2015)	882
აპრილი (2015)	764
მაისი (2015)	807
ივნისი (2015)	868
ივლისი (2015)	868
აგვისტო (2015)	719
სექტემბერი (2015)	815
ოქტომბერი (2015)	848
ნოემბერი (2015)	745
დეკემბერი (2015)	777
იანვარი (2016)	684
თებერვალი (2016)	695
მარტი (2016)	861
აპრილი (2016)	849
მაისი (2016)	796
ივნისი (2016)	852

ივლისი (2016)	801
აგვისტო (2016)	742
სულ	15939

ევროპული ციხის წესების თანახმად, პაემნების ორგანიზაცია ისე უნდა განხორციელდეს, რომ მსჯავრდებულებს საშუალება მიეცეთ შეინარჩუნონ და განავითარონ ოჯახური ურთიერთობები, შეძლებისდაგვარად ნორმალურ გარემოში.¹⁴¹

N17 დაწესებულებაში, ისევე როგორც სხვა პენიტენციურ დაწესებულებებში, ხანმოკლე პაემანი ხორციელდება მინის გამყოფი ბარიერის მიღმა, ტელეფონის მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში მსჯავრდებული მოკლებულია ოჯახის წევრებთან ფიზიკური ურთიერთობის შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ფიზიკური გამყოფი ბარიერები აუცილებელია, მნიშვნელოვანია, რომ ფიზიკური ურთიერთობის საშუალება იყოს ნორმა. ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომლითაც ხდება ფიზიკური ურთიერთობის შეზღუდვა, უნდა იყოს გონივრული, დასაბუთებული და მისაღწევი მიზნის პროპორციული. გარდა ამისა, ფიზიკური ურთიერთობის შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილება უნდა დაექვემდებაროს რეგულარულ გადახედვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსგავსი ჩარევა მსჯავრდებულთა პირად და ოჯახურ ცხოვრებაში გაუმართლებელი იქნება. შესაბამისად, მინის ტიხრიან ოთახში პაემანის განხორციელების რუტინული პრაქტიკა, რომელიც პენიტენციურ დაწესებულებებშია (მათ შორის, N17 დაწესებულებაშიც) მიღებული, შეუსაბამოა მსჯავრდებულისა და მისი ოჯახის წევრების პირადი ცხოვრების უფლებასთან.

8.2. ხანგრძლივი პაემანი

ოჯახთან ცხოვრება, რომელიც მოიცავს ოჯახთან კონტაქტსაც, ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ მსჯავრდებულებისა და მისი ოჯახის წევრების ვიზიტი არ უნდა ჩაითვალოს პრივილეგიად. მანდელას წესებში აღნიშნულია, რომ ოჯახთან კონტაქტის შეზღუდვა დაშვებულია მხოლოდ შეზღუდული პერიოდით და იმ შემთხვევაში, თუ ამას მკაცრად მოითხოვს უსაფრთხოებისა და წესრიგის შენარჩუნების ინტერესები.¹⁴²

ევროპული ციხის წესები დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მსჯავრდებულების უფლებას, პაემნების საშუალებით ხშირი ურთიერთობა იქონიონ ოჯახის წევრებთან.¹⁴³ აღნიშნული წესების თანახმად, პაემნების ორგანიზება ისე უნდა განხორციელდეს, რომ მსჯავრდებულს საშუალება ჰქონდეს შეინარჩუნოს და განავითაროს ოჯახური ურთიერთობები შეძლებისდაგვარად ნორმალურ გარემოში.¹⁴⁴ ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა მსჯავრდებულსა და მის ოჯახს შორის კავშირის

¹⁴¹ ევროპული ციხის წესები, წესი 24.4.

¹⁴² ნელსონ მანდელას წესები, წესი 43(3).

¹⁴³ ევროპის ციხის წესები, წესი 24.1.

¹⁴⁴ იქვე, წესი 24.4.

შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის და ემსახურება ორივე მხარის ინტერესებს.

N17 დაწესებულებაში ფუნქციონირებს გრძელვადიანი პაემნების 10 ოთახი. ყველა ოთახი იდენტურია. თითოეულის ფართი 17 კვ.მ-ია. გრძელვადიანი პაემნის ოთახები აღჭურვილია შესაბამისი ავეჯითა და ინვენტარით. ვიზიტის დროს აღნიშნული 10 ოთახიდან 3 ოთახში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, 3 ოთახი იყო ახალგარემონტებული, ხოლო - 4 სარემონტო.

დაწესებულებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 3173 ხანგრძლივი პაემანი.

მსჯავრდებულთა მიერ საანგარიშო პერიოდში ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის მონაცემები თვეების მიხედვით მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

თვეები	ხანგრძლივი პაემანი
იანვარი (2015)	135
თებერვალი (2015)	127
მარტი (2015)	182
აპრილი (2015)	166
მაისი (2015)	176
ივნისი (2015)	158
ივლისი (2015)	166
აგვისტო (2015)	130
სექტემბერი (2015)	149
ოქტომბერი (2015)	165
ნოემბერი (2015)	125

დეკემბერი (2015)	129
იანვარი (2016)	122
თებერვალი (2016)	246
მარტი (2016)	160
აპრილი (2016)	143
მაისი (2016)	153
ივნისი (2016)	179
ივლისი (2016)	181
აგვისტო (2016)	181
<i>სულ</i>	3173

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირებული წახალისების 672 შემთხვევიდან უმეტეს შემთხვევაში (433 შემთხვევა) მსჯავრდებულები წახალისებულ იყვნენ დამატებითი ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლებით, რაც მისასაღმებელია.

როგორც სხვა პენიტენციურ დაწესებულებებში, N17 დაწესებულებაშიც პრობლემას წარმოადგენდა ადმინისტრაციულ სახდელდაკისრებული პირებისთვის ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის შეზღუდვა. პატიმრობის კოდექსის 17²-ე მუხლის მე-6 ნაწილი ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლებას უზღუდავს იმ მსჯავრდებულს, რომელიც საკარანტინო რეჟიმშია, დაკისრებული აქვს დისციპლინური სახდელი ან/და შეფარდებული აქვს ადმინისტრაციული პატიმრობა. ამ პუნქტში საუბარია იმ შემთხვევაზე, როდესაც მსჯავრდებულს შეფარდებული აქვს დისციპლინური სახდელი, დისციპლინური სახდელის ვადა კი გასული არ არის. ხანგრძლივი პაემნის შეზღუდვა არ უნდა გავრცელდეს იმ შემთხვევაზე, როდესაც გასულია დისციპლინური სახდელის ვადა, თუნდაც მსჯავრდებული სახდელდადებულად ითვლებოდეს. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემად რჩებოდა აღნიშნული პუნქტის არასწორი ინტერპრეტაცია, რა დროსაც დისციპლინური სახდელის სახით სამართლო საკანში მოთავსებულ მსჯავრდებულს უფლება არ ჰქონდა ერთი წლის განმავლობაში ესარგებლა ხანგრძლივი პაემნის უფლებით.

8.3. ვიდეოპაემანი

N17 დაწესებულებაში ერთი ვიდეოპაემნის ოთახია, რომელშიც განთავსებულია მონიტორი, მაგიდა და სკამი. ვიდეოპაემანი იმართება პროზაციის ბიუროდან. ოთახში არ მიმდინარეობს ვიზუალური დაკვირვება ელექტრონული საშუალებით. ვიდეოპაემნის ოთახი იმგვარადაა მოწყობილი, რომ არც სხვა მხრივია შესაძლებელი ვიდეოპაემნის მიმდინარეობის რაიმე სახით თვალთვალი.

საანგარიშო პერიოდში N17 დაწესებულებაში განხორციელდა 406 ვიდეო პაემანი, რომლითაც სარგებლობის მონაცემები თვეების მიხედვით მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

თვეები	ვიდეოპაემანი
იანვარი (2015)	14
თებერვალი (2015)	17
მარტი (2015)	22
აპრილი (2015)	17
მაისი (2015)	23
ივნისი (2015)	22
ივლისი (2015)	20
აგვისტო (2015)	15
სექტემბერი (2015)	12
ოქტომბერი (2015)	15
ნოემბერი (2015)	20
დეკემბერი (2015)	23

იანვარი - აგვისტო (2016)	186
სულ	406

8.4. სატელეფონო საუბრები

ოჯახთან, სხვა პირებთან თუ ორგანიზაციებთან სატელეფონო კავშირი, გარესამყაროსთან მსჯავრდებულის კონტაქტის ერთ-ერთი საშუალებაა, რაც აღიარებულია როგორც საერთაშორისო ნორმებით,¹⁴⁵ ასევე საქართველოს კანონმდებლობით. კერძოდ, „პატიმრობის კოდექსის“ მიხედვით მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 4 სატელეფონო საუბარი, თითოეული - არა უმეტეს 15 წუთისა.¹⁴⁶

N17 დაწესებულების დებულებით განსაზღვრულია, რომ მსჯავრდებულს აქვს სატელეფონო საუბრის უფლება, რომელიც ხორციელდება მსჯავრდებულის ხარჯით და დაწესებულების კონტროლით, მიყურადების გარეშე.¹⁴⁷ დაწესებულებაში მსჯავრდებულთა მომსახურებისათვის არის 46 სატელეფონო აპარატი, რომელიც განთავსებულია პირველი დანაყოფის ეზოში, მსჯავრდებულთა სატელეფონო საუბრებს დაწესებულების თანამშრომლები არ ესწრებიან.¹⁴⁸ საზღვარგარეთ დარეკვა შესაძლებელია კვირაში მხოლოდ ორჯერ, ამისათვის სპეციალურად განსაზღვრულ დღეებში.

იმ პირობებში, როდესაც არც პატიმრობის კოდექსი და არც დაწესებულების დებულება არ ახდენს დიფერენცირებას მსჯავრდებულის მიერ საქართველოსა და საზღვარგარეთ განხორციელებულ ზარებს შორის, გაურკვეველი რჩება, თუ რა მოტივი უდევს საფუძვლად ამგვარი პრაქტიკის დამკვიდრებას, როდესაც უცხოეთში დარეკვა მხოლოდ კვირის ორ კონკრეტულ დღეს არის შესაძლებელი. ეს წესი შესაძლოა განსაკუთრებულ დისკომფორტს უქმნიდეს დაწესებულებაში მყოფ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს,¹⁴⁹ რომელთა რაოდენობაც ვიზიტის განხორციელების დროს 35 იყო.

¹⁴⁵ნელსონ მანდელას წესები, წესი: 58(1-a), ევროპული ციხის წესები, წესი: 24.1.

¹⁴⁶ საქართველოს კანონი პატიმრობის კოდექსი, მუხ. 19(1) და 62(2-გ).

¹⁴⁷ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N17 პენიტენციური დაწესებულების დებულება, მუხ. 37(1).

¹⁴⁸ N17 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2016 წლის 13 იანვრის #MOC71600029097 წერილი, გვ.8.

¹⁴⁹ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი აღნიშნავს, რომ ციხეში უცხოელი მსჯავრდებულები უფრო მოწყვლადი კატეგორიაა, რომელთა პრობლემებსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. იხ. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, გვ. 26, პუნქტი 52, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: <<http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-standards.pdf>> [ბოლოს ნანახია 06.05.2016].

მსჯავრდებულისთვის სატელეფონო საუბრის უფლების ქონის მიზანია ახლობელ ადამიანებთან (გეოგრაფიული ადგილსამყოფელის მიუხედავად) დაუბრკოლებელი კომუნიკაცია, როგორც ინფორმაციის გაცვლის, ასევე სხვა პირადი მიზნით (მაგ. სადღესასწაულო დღეების მილოცვა და სხვა). შესაბამისად, N17 დაწესებულებაში დამკვიდრებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, საზღვარგარეთ სატელეფონო საუბრები უფრო ნაკლებადაა ხელმისაწვდომი, ვიდრე საქართველოს ფარგლებში, ამ მიზანს ეჭვის ქვეშ აყენებს. შესაბამისად, დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა წარმოადგინოს ამგვარი შეზღუდვის გამამართლებელი სარწმუნო მიზეზი ან აღმოიფხვრას მოქმედი პრაქტიკა და შესაძლებელი გახადოს დაწესებულებიდან სატელეფონო ზარების განხორციელება როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

8.5. მიმოწერა

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი¹⁵⁰ მიუთითებს, რომ ინსპექტირებისა და საჩივრების განხილვის ეფექტიანი პროცესი არის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის ერთ-ერთი ფუნდამენტური გარანტია. მსჯავრდებულებს უნდა ჰქონდეთ საჩივრის შეტანის შესაძლებლობა როგორც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების სისტემის ფარგლებში, ისე მის გარეთ, მათ შორის, სათანადო უწყებებთან კონფიდენციალურად დაკავშირების შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველისთვის მიმართვის საშუალება წარმოადგენს არასათანადო მოპყრობისგან დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას.

N17 დაწესებულების დებულების მიხედვით, მსჯავრდებულს უფლება აქვს დადგენილი წესითა და დაწესებულების კონტროლით შეუზღუდავი რაოდენობით გააგზავნოს და მიიღოს წერილები, აგრეთვე უფლება აქვს, წარადგინოს განცხადებები, მოთხოვნები და საჩივრები ზეპირად ან წერილობით.¹⁵¹ პატიმრობის კოდექსის თანახმად, მსჯავრდებულის კორესპონდენცია ექვემდებარება შემოწმებას, რაც მოიცავს ვიზუალურ დათვალიერებას, კორესპონდენციის შინაარსის გაცნობის გარეშე, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, დასაბუთებული ვარაუდისას, თუ შესაძლებელია ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან სხვა პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს, უსაფრთხოების განყოფილების მოსამსახურე უფლებამოსილია გაეცნოს კორესპონდენციის შინაარსს და საჭიროებისამებრ შეზღუდოს მისი ადრესატისთვის გაგზავნა.¹⁵²

საანგარიშო პერიოდში N17 დაწესებულებიდან სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო უწყება-დაწესებულებებში შემდგომი რეაგირებისათვის გაიგზავნა 11,817 კორესპონდენცია

¹⁵⁰ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, გვ. 54, პუნქტი 27, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: <<http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-standards.pdf>> [ბოლოს ნანახია 06.05.2016].

¹⁵¹ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N17 პენიტენციური დაწესებულების დებულება, მუხ. 36(1).

¹⁵² მუხ. 16(4).

(განცხადება, საჩივარი, შუამდგომლობა და სხვა), ასევე მსჯავრდებულთა მიერ საანგარიშო პერიოდში გაგზავნილ იქნა 1,433 პირადი სახის კორესპონდენცია.¹⁵³

N17 დაწესებულების დებულებით განსაზღვრულია საჩივრის წარდგენისა და გაგზავნის წესი.¹⁵⁴ დაწესებულებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, საცხოვრებელ კორპუსებში ფუნქციონირებს შვიდი საჩივრის ყუთი, ყველა მსჯავრდებულისათვის ხელმისაწვდომ ადგილას, რომლებიც არ ხვდება ელექტრონული/ვიზუალური მეთვალყურეობის არეში.

საანგარიშო პერიოდში საჩივრის ყუთის მეშვეობით გაიგზავნა 1,068 კონფიდენციალური მოთხოვნა/საჩივარი.

აღსანიშნავია, რომ N17 დაწესებულებიდან მიღებული ინფორმაციით, 2015 წლის განმავლობაში საერთოდ არ შესულა მოთხოვნა/საჩივარი, რომელიც ეხებოდა დაწესებულებაში არსებულ შიდა საკითხებს.¹⁵⁵

რეკომენდაციები

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- ❖ უზრუნველყოს ხანმოკლე პაემნის განხორციელება მინის გამყოფი ბარიერის გარეშე
- ❖ უზრუნველყოს დისციპლინური სახდელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებულთათვის ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება

¹⁵³ N17 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2016 წლის 13 იანვრის #MOC71600029097 წერილი, გვ. 10, 13. ასევე N17 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის წერილი MOC 516 00691423 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N3-4/8674).

¹⁵⁴ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N17 პენიტენციური დაწესებულების დებულება, თავი VIII.

¹⁵⁵ N17 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2016 წლის 13 იანვრის #MOC71600029097 წერილი, გვ.10.